საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 157 (436) ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

საქართველოს მოსკოვის მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი:

აგვისტოს პუტჩის წლისთავის წინ რუსეთის ტელევიზიით ეთერში გავიდა გადაცემა ციკლიდან „თეთრი სახლი“. მასში მოთხრობილი იყო იმ დღეებში რუსეთის პარლამენტის დასაცავად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ. აღინიშნა, რომ იმ საგანგაშო დღეებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ნ. ელცინმა მიიღო ბატონი შევარდნაძე და დემოკრატთა სხვა ლიდერები.

გადაცემაში გაისმა ინტერვიუ ამ ამბების თვითმხილველებთან. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ე. შევარდნაძის მონაწილეობას დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პუბლიცისტურ გადაცემას „თეთრი სახლი“ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა რუსეთის ფედერაციაში.

საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის მუდმივი წარმომადგენლობა 17 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში ტელეფონით იღებდა რუსეთის მოქალაქეთა მრავალ განცხადებას, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, დემოკრატიისა და თანხმობის ძნელ გზას რომ დაადგნენ.

●

შინაგან საქმეთა სამინისტრო:

ამ დღეებში ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ბატალიონის ჯგუფმა, რომელიც ამჟამად სენაკის შტაბის განკარგულებაში იმყოფება, სოფელ ცაიშში დააკავა ოთხი ავტომატით და ორი პისტოლეტით შეიარაღებული ექვსკაციანი ბოროტმოქმედთა ჯგუფი. ისინი აღმოჩნდნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის მცხოვრები 1970 წელს დაბადებული სოსო დემიკოს ძე ქვარაცხელია, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მცხოვრები, მოსკოვის გეოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტი, 1967 წელს დაბადებული ემზარ შაქროს ძე ქარჩავა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის მცხოვრები, აღნიშნული სოფლის ავტომომსახურების კოოპერატივის ოსტატი, 1970 წელს დაბადებული ვლადიმერ შოთას ძე თოდუა და იქვე მცხოვრები, აღნიშნული კოოპერატივის ოსტატი, 1968 წელს დაბადებული გელა შოთას ძე თოდუა, რომლებიც იმავე დღეს ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე ყაჩაღურად თავს დაესხნენ ქუთაის-სოჭის სარეისო ავტობუსს, შემდეგ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კუთვნილ ავტომანქანა „კამაზს“, საიდანაც გაიტაცეს ძვირადღირებული საშენი მასალები, ასევე თავს დაესხნენ რამდენიმე მსუბუქ ავტომანქანას. მოწმეების ჩვენებით, აღნიშნული ჯგუფი მრავალრიცხოვანია. ეძებენ დანარჩენ ბოროტმოქმედთ. მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საკმაოდ ცნობილი ჯგუფის „სოიუზის“ წევრ არძინბას მხარს უჭერდნენ და ახლაც უჭერენ რუსეთის ის რეაქციული ძალები, რომლებიც ისწრაფვიან შეაჩერონ დემოკრატიულ ცვლილებათა კურსი და უკან დასწიონ საქმე. ამავე დროს აფხაზეთის პარლამენტის ყველა მოქმედება და საქციელი ობიექტურად უკავშირდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა ანტიხალხურ საქმიანობას

რამ განაპირობა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება?

სამახსოვრო ბარათი „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების შესახებ“

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ნაწილობრივ შეიცვალეს დისლოკაცია მის ტერიტორიაზე.

ამ ღონისძიების აუცილებლობას განაპირობებს შემდეგი მიზეზები და გარემოებანი:

1. ერთადერთი რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც საქართველოსა და სომხეთს აკავშირებს რუსეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების მიერ ბლოკირებული აღმოჩნდა. მოქმედებდნენ რა დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელზეც გადის მაგისტრალის მეტი ნაწილი, ფაქტობრივად მოშალეს მისი მუშაობა და რესპუბლიკას წაართვეს მისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი არტერია. ხიდების, რკინიგზის ვაკისის, სხვა ობიექტებისა და ნაგებობების აფეთქების, შემადგენლობებიდან დატაცებათა შედეგად მიყენებულია 12 მილიარდი მანეთის ზარალი. მეზობელმა სომხეთმა ვერ მიიღო მისთვის განკუთვნილი 6 მილიარდი მანეთი ღირებულების ტვირთი.

2. ბანდებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, თბილისსა და სხვა ქალაქებში, მოახდინეს ტერორისტული აქტები, რომლებსაც მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა. ამა წლის 24 ივნისს მათ ხელთ იგდეს თბილისის ტელერადიოდეპარტამენტის შენობა და სცადეს მოეხდინათ შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. ამა წლის 9 ივლისს მათ მოიტაცეს საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, რომელიც განაგებს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებს, ჩვენი ცნობების თანახმად, იგი დაპატიმრებული ჰყავთ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ამა წლის 11 აგვისტოს ერთ-ერთი ბანდა ქალაქ ზუგდიდში თავს დაესხა მთავრობის დელეგაციას, რომელიც რეგიონში ჩავიდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის 4 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ ეროვნული შერიგებისა და თანხმობის შესახებ მიღებული მანიფესტის დებულებათა საფუძველზე. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რ. გვენცაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეროვნული უშიშროების საკითხებში დ. სალარიძე და სხვა პირნი დაატყვევა ბანდამ და მიიყვანა ბაზაში, რომელიც ახლაც აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული.

3. თავისი შექმნის მომენტიდან მოყოლებული, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ახორციელებს საერთო-ეროვნული და ეროვნებათშორისი დიალოგისა და კომპრომისის პრინციპებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. აქ არ მოვიხსენიებთ ძალისხმევას ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ვიტყვით იმას, რომ გაიმართა თოთხმეტი შეხვედრა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ჯგუფების ხელმძღვანელებთან და დაიდო ამდენივე შეთანხმება. ყველა ისინი ვერაგულად დაარღვიეს, სავსებით ცხადი გახდა, რომ ყველა ეს აქცია, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესს, მიზნად ისახავს ამა წლის 11 ოქტომბრისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების ჩაშლას და თავისი ხალხისა და მსოფლიო გაერთიანების წინაშე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევას.

ამოწურეს რა ყველა ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საშუალებათა არსენალი, რესპუბლიკის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებანი დისტრუქციული საქმიანობის აღსაკვეთად.

4. საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის წინათ მიღწეული მორიგებით აფხაზეთის ხელისუფლებმა ვალდებულება იკისრეს აღეკვეთათ მის ტერიტორიაზე მოქმედი დანაშაულებრივი უკანონო ფორმირებების საქმიანობა, თავიანთი ძალებით უზრუნველეყოთ უსაფრთხოება სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე და დაეცვათ ისინი დივერსიული აქტებისაგან.

ეს ვალდებულება არ შესრულდა.

აფხაზეთის ავტონომიის ხელმძღვანელობას ეცნობა აფხაზეთის ფარგლებში, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფების შეყვანის შესახებ. მას განუმარტეს ამ ღონისძიებათა მიზნები და ამოცანები, შესთავაზეს თანამოქმედება და თანამშრომლობა.

პასუხად აფეთქეს მდინარე ენგურზე გადებული ხიდი, წარმოიშვა რუსეთთან საქართველოს დამაკავშირებელი ხიდის მოსპობის საფრთხე. მონოეროვნულ საფუძველზე ჩამოყალიბებულმა აფხაზეთის ეროვნულმა გვარდიამ ცეცხლი დაუშინა საქართველოს არმიის ქვეგანაყოფებს.

ყოველივე ეს გახდა იმ პოლიტიკის კანონზომიერი შედეგი, რომელსაც ახორციელებდა აფხაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი, უწინარეს ყოვლისა, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა. ისარგებლა რა რთული სიტუაციით, რომელშიც აღმოჩნდნენ საქართველოს ხელისუფალნი, რომლებიც იძულებული არიან ერთდროულად გადაჭრან ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგებასთან და დესტრუქციული ძალების მოგერიებასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა, მან საქმე იქითკენ მიჰყავდა, რომ მოეწყვიტა აფხაზეთი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსაგან. ამაში მას ხელს უწყობდა დისკრიმინაციული საარჩევნო კანონი, რომელმაც საშუალება მისცა უგულებელეყო აფხაზეთის ამომრჩეველთა მეტი ნაწილის ნებასურვილი და აზრი და განეხორციელებინა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. საკმაოდ ცნობილი ჯგუფის „სოიუზის“ წევრ არძინბას მხარს უჭერდნენ და ახლაც უჭერენ რუსეთის ის რეაქციული ძალები, რომლებიც ისწრაფვიან შეაჩერონ დემოკრატიულ ცვლილებათა კურსი და უკან დასწიონ საქმე. ამავე დროს აფხაზეთის პარლამენტის ყველა მოქმედება და საქციელი ობიექტურად უკავშირდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა ანტიხალხურ საქმიანობას.

დამახასიათებელი მაგალითი. მან განიზრახა უკანონოდ გადაეყენებინა პოსტიდან არასასურველი აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, და მისდამი დაქვემდებარებულ აფხაზეთის გვარდიის ბატალიონს მოუწოდა იერიში მიეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე. უცნაური დამთხვევით შტურმი დანიშნული იყო 24 ივნისს — იმ დღეს, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალება და ხელთ იგდეს თბილისში ტელერადიოდეპარტამენტის შენობა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ორგანიზაციას უწევდა რესპუბლიკის დედაქალაქში წესრიგის აღდგენას და ამბოხების ლიკვიდაციას, დარეკა სოხუმში და სთხოვა აფხაზეთის პარლამენტის მეთაურს არ გადაედგა ეს ნაბიჯი, რომლის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრა ვ. არძინბას.

მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯი გადაიდგა, ეტყობა, იმ ანგარიშით, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი მიაღწევდნენ დასახულ მიზნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა შტურმით იქნა აღებული, მინისტრს მიაყენეს ფიზიკური და სხვა შეურაცხყოფა და იგი საავადმყოფო საწოლზე აღმოჩნდა. შედეგად მკვეთრად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში და მის ირგვლივ, რომელმაც უკიდურესობამდე გაართულა ეროვნებათშორისი ურთიერთობა.

თურქეთში მოგზაურობის დროს ვ. არძინბას არაერთგზის გამოუთქვამს აზრი, რომ ჯერ არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია დამოუკიდებლობისათვის კონსტიტუციური გზით, რომ აფხაზეთს საკმარისად აქვს იარაღი, რათა „მოიპოვოს თავისუფლება“, რომ მის დასახმარებლად მზად არიან „გარკვეული ძალები“.

აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა გარემოცვამ, რომლებმაც ამგვარად პროვოკაციულად გამოიწვიეს კონფლიქტი რესპუბლიკასა და რეგიონში, 27 ივლისს გადადგეს სამართლებრივი თვალსაზრისით აღმაშფოთებელი ნაბიჯი — აღადგინეს 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის მოქმედება, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ავტონომიის თვითგაუქმებას, საქართველოს არსებული საზღვრების გადასინჯვას და მისგან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ჩამოცილებას.

ამ ნონსენსში უპრეცედენტოა არა მარტო სამართლისა და მორალის უგულებელყოფა, არამედ ფვით მოქმედების წესი.

1925 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენის გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო შეკვეცილი შემადგენლობით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

კონსტიტუციის შესწორებები, მით უმეტეს კი მოქმედი ძირითადი კანონის გაუქმება, ახალი სახელმწიფო წყობილების დამყარება შეიძლებოდა მხოლოდ მოქმედი პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედით. ხმების ასეთივე უმრავლესობით უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება რეფერენდუმზე ამგვარი საკითხების გამოტანის შესახებ. ყოველივე ეს ჩაწერილია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციასა და შესაბამის კანონებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო კანონმა, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მოქმედი პარლამენტი, 28 ადგილი მიეცა აფხაზებს (მოსახლეობის 18 პროცენტი), 26 — ქართველებს (მოსახლეობის 46 პროცენტი) და 11 სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ცხადი გახდება, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება მოკლებულია როგორც იურიდიულ, ისე მორალურ საფუძველს და წარმოადგენს ხელისუფლების უზურპაციის პროცესის დამთავრებისა და მონოეთნიკური დიქტატურის დამყარების ცდას.

ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 1925 წლის კონსტიტუციის რეანიმირების ცდა, რომელიც, სხვათა შორის, არასოდეს არ ამოქმედებულა, უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ეგრეთ წოდებული აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკის შექმნა, რომელიც საქართველოს მეშვეობით დაკავშირებულია უკვე არარსებულ ამიერკავკასიის ფედერაციასთან, იყო ბოლშევიზმის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ნერგავდა ანექსირებულ, მაგრამ ფორმალურად სუვერენულ საქართველოში ნახევრად სახელმწიფოებრივ ფორმირებებს, რომლებსაც შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში გამხდარიყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრის იარაღი.

ახლა ეს და მათი მსგავსი „შენელებული მოქმედების ნაღმები“ მოქმედებს, თანაც — არა მარტო საქართველოში. ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილ მრავალ ქვეყანაში ჩაღდება შინაგანი კონფლიქტები, რომელთა ფესვები ღრმად არის გადგმული ტოტალიტარიზმის ნიადაგში, მისი დღევანდელი მომხრეები რომ ასაზრდოებენ. ყველა ეს კონფლიქტი განსხვავდება გარეგნული გარემოებებით, მაგრამ მათ აქვთ საერთო „დრამატურგია“ და „რეჟისურა“. და ყველა ისინი თანაბრად ქმნიან ერთიან ჯაჭვს, რომელიც გარს ერტყმის აფეთქებასაშიში სიტუაციების რეგიონებს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

შავი ზღვის რეგიონში დანთებულმა კონფლიქტურობის ახალმა კერამ შეიძლება ძირი გამოუთხაროს აქ განლაგებული სახელმწიფოების ძალისხმევას, რომლის მიზანია თანამშრომლობისა და უშიშროების რეგიონული სისტემის შექმნა.

აღვნიშნავთ რა ამ ფაქტს, ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩავაქროთ კონფლიქტი სათავეშივე.

სამახსოვრო ბარათს ავრცელებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესსამსახური მისი პრეზიდიუმის დავალებით.

1992 წლის 17 აგვისტოს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმში

პურპროდუქტებით და ნავთობპროდუქტებით მომარაგება უპირველესი საზრუნავია

17 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების რესპუბლიკური შტაბის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს ორი საკითხი, რომლებიც ეხება პურპროდუქტებითა და ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგებას. აღინიშნა, რომ ამ საქმეში შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა. მაგალითად, 17 აგვისტოს მდგომარეობით რესპუბლიკაში მარცვლეულის მთელი მარაგი 18 ათას ტონაზე ოდნავ მეტს შეადგენდა. არადა, დამზადებული პურის რაოდენობა არ აღემატება 38 ათას ტონას გეგმით გათვალისწინებული 170 ათასი ტონის ნაცვლად. ამასთან, ამ მარცვლეულის მეტი ნაწილი უკვე დახარჯულია. აგვისტოს დამლევამდე მოელიან კიდევ 10 ათასი ტონის შემოსვლას, მაგრამ ნავთობპროდუქტების უქონლობის გამო დამზადება ჭიანურდება. სერიოზული სიძნელენი შეიქმნა აგრეთვე ქვეყნის ფარგლებს გარეთ შესყიდული მარცვლეულის შემოტანასთან დაკავშირებით. სხდომაზე გადაწყდა, სასწრაფოდ აამოქმედონ უცხოური კრედიტები, რათა წლის დამლევამდე შეისყიდონ 897 ათასი ტონა პური, დაუყოვნებლივ დადონ სამთავრობო ხელშეკრულებანი უკრაინასთან, ყაზახეთთან და რუსეთთან მარცვლეულის მოწოდების შესახებ. რესპუბლიკის შიგნით დამზადების დაჩქარების მიზნით საზოგადოებრივ მეურნეობებს ნება დაერთო ბანკებიდან ნაღდ ანგარიშზე მიიღონ პურეულის დამზადების ღირებულების 80 პროცენტი ნავთობპროდუქტების შესაძენად.

უკეთესად როდია საქმე ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგებაში. საკმარისია ითქვას, რომ ამა წლის შვიდ თვეში „საქნავთობპროდუქტების“ კონცერნმა 218 ათასი ტონა ბენზინის ნაცვლად რესპუბლიკაში მხოლოდ 118 ათასი ტონა შემოიტანა. რაც შეეხება „საქნავთობს“, ამავე პერიოდში მან ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას 20 ათასი ტონა ნავთობი დააკლო. საერთოდ, ამ ქარხანას მიმდინარე წლის გასული თვეების მანძილზე უნდა გადაემუშავებინა 1,5 მილიონი ტონა ნედლეული, ფაქტობრივად კი სულ 856 ათასი ტონა გადაამუშავა. ნედლეულის დეფიციტი, აღინიშნა სხდომაზე, იმან განაპირობა, რომ ქარხანას, ყველაფრის გარდა, არ შეუძლია ანგარიში გაუსწოროს ნავთობის მიმწოდებლებს იმის გამო, რომ „საქნავთობპროდუქტების“ კონცერნი დროულად ვერ უხდის მიღებული ნავთობპროდუქტების საფასურს. კონცერნის დავალიანებამ 440 მილიონ მანეთს გადააჭარბა. სხდომაზე დაისახა ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგების მექანიზმის ფუნქციონირებაში ხარვეზების ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

აფხაზ დეპუტატთა პრესკონფერენცია მოსკოვში

17 აგვისტოს მოსკოვში, მედიცინის აკადემიის შენობაში გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა პრესკონფერენცია. იგი მოაწყვეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იგორ ახბამ, ჩერქეზთა ასოციაციის პრეზიდენტმა იური კალმიკოვმა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ტარას შამბამ.

მათ 14 აგვისტოს ეროვნული არმიის ნაწილების აფხაზეთში შეყვანა დააკვალიფიცირეს როგორც ოკუპაცია. „ეს უკვე მესამე აგრესიაა ამ ბოლო სამი წლის მანძილზე. საქართველოს არმიის მიზანია მოსპოს აფხაზეთის რესპუბლიკა, მისი დამოუკიდებლობა. ეს აგრესია აფხაზი ხალხის გენოციდის მორიგი აქციაა, — ნათქვამია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურის აქ გავრცელებულ განცხადებაში. — ჩვენ მივმართავთ რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს თხოვნით დაიცვან აფხაზები საქართველოს არმიისაგან“.

პრესკონფერენციის ორგანიზატორები თავიანთ პასუხში ყოველნაირად ცდილობდნენ დაეცვათ ამ განცხადების ფორმა და შინაარსი და ურეაგირებლად დატოვეს მათთვის მრავალი „არახელსაყრელი“ კითხვა.

მაგალითად, ჟურნალისტთა კითხვაზე დახმარების ხასიათის შესახებ, რომელსაც აფხაზეთის ხელმძღვანელობა სთხოვს კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოთა ხელმძღვანელობას, იგორ ახბამ წაიკითხა სხვადასხვა სახელმწიფოსადმი გაგზავნილი ტიპობრივი წერილის ფრაზა: „სასიკვდილო საფრთხის ჟამს აფხაზეთის უზენაესი საბჭო გთხოვთ დახმარებას ყველაფრით, რითაც შეგიძლიათ“.

რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტმა გ. ფოფხაძემ, ჩეჩნებისადმი დახმარებისათვის აფხაზეთის მიმართვასთან დაკავშირებით ითხოვა განემარტათ, ხომ არ არის ეს სხვა სახელმწიფოსადმი მოწოდება თავის სახელმწიფოსთან ომისათვის. ამ კითხვას კომენტარი არ მოჰყოლია.

ცალკე შეეხნენ რუსეთის ხელმძღვანელობის პოზიციის საკითხს და უკმაყოფილება გამოთქვეს მისი პოლიტიკით, რის შედეგადაც დაიკეტა საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის, „ამიტომ აფხაზ ხალხს ვერ დაეხმარნენ მოხალისეები“.

კირა ანდრონიკაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

თავისუფლება ჟურნალისტს

სოხუმში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ანტიხალხური ხელმძღვანელობის მომხრეებმა ბანდიტური ტერორისტული აქტი ჩაიდინეს — გაიტაცეს ჟურნალისტი ალექსანდრე ბერულავა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ჟურნალისტისთვის მის მუშაობაში ხელის შეშლის ყოველი ცდა დასჯება, როგორც დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი მოითხოვს დატყვევებული ჟურნალისტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ჟურნალისტებისთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას.

დარწმუნებული ვართ, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, ჟურნალისტთა მსოფლიო საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ამ ბანდიტური აქციის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.

ნომერში

⊙ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა. 2
⊙ ნუ შევპირდებით აბიტურიენტებს შეუძლებელს! 3

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 829 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ წარმოდგენილი სახით.
2. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ე. ზოზუაძე.

თბილისი. 1992 წლის 18 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს და წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა დანართის თანახმად.
2. დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
თ. სიგუა.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი
ქ. გელაშვილი.

კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია

გუშინ, სახელმწიფო საბჭოს დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს პრეს-მდივანმა ბატონმა ვალერი კვარაცხელიამ ჟურნალისტებისათვის გამართა ბრიფინგი.

როგორც პრეს-მდივანმა განაცხადა, სხდომაზე აფხაზეთის მოვლენების გარშემო ინფორმაციით გამოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე. მან აღნიშნა, რომ 17 აგვისტოს სოხუმში მდგომარეობა დაიძაბა, გახშირდა ძარცვა-გლეჯა და მოროდიორობა, ქალაქს ემუქრებოდა უპროდუქტებოდ დარჩენა. ამიტომაც საჭირო იყო ელემენტარული სამოქალაქო წესრიგის დამყარება. ამიტომ ეროვნული ჯარი იძულებული იყო ქალაქში შესულიყო, რაც გუშინ განხორციელდა.

ეროვნული ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ძირითადი სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის უზენაესი საბჭოს შენობა, რომელიც მთლიანად დაცლილი იყო.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, განიხილება საკითხი იმის შესახებ, რომ სოხუმში შეიქმნას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან შემდგარი საბჭო, რომელიც მოაწესრიგებს ქალაქის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ წინადადებას დაეთანხმნენ ბატონები ბაგაფში და ანქვაბი. ასეთი საბჭოს შექმნა თავიდან აგვაცილებს შემდგომ გართულებებს, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, მან ხაზი გაუსვა, რამდენიმე მომენტს — სასურველია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევა; სოხუმში წესრიგი უნდა დაიცვას პოლიციამ; მოვლენათა შემდგომი გაგრძელება უნდა იყოს პოლიტიკური და არა ძალისმიერი; ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით; კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა უნდა იყოს კეთილმეზობლური და კეთილგანწყობილი.

დასასრულ აღინიშნა, რომ თუმცა სიტუაცია რთულია, მისი მართვა შესაძლებელია, რომ თავიდან ავიცილოთ ხელოვნურად შექმნილი ამ კონფლიქტის შემდგომი გამწვავება.

შეიმუშავებენ სტაბილიზაციის წინადადებებს

გუშინ 18 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის თხოვნით, თბილისიდან სოხუმს გაფრინდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს აფხაზეთის საკითხთა კომისიის წევრებისა და საქართველოს რესპუბლიკის ადამიანთა უფლებების დაცვის და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიან ბატონები: ივლიანე და გიორგი ხაინდრავები, თემურ შაშიაშვილი, თემურ ლომაია, რაულ კუპრავა, ირაკლი მელაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ალექსანდრე მოისესიანი, ლონდერ ცაავა და სხვები. ისინი ადგილზე შეისწავლიან არსებულ ვითარებას, შეხვდებიან მოსახლეობას, ხელისუფლების წარმომადგენლებს და შეიმუშავებენ ვითარების სტაბილიზაციისთვის საჭირო წინადადებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა ცნობილი მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატის ომარ მიხეილის ძე კელაპტრიშვილის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: დავით მაღრაძე (კომისიის თავმჯდომარე), მანანა ახმეტელი, გურამ გოგიაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ბიძინა კვერნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ოთარ ლითანიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, სულხან ნასიძე, ნუგზარ რუხაძე, ფრიდონ სულაბერიძე, იოსებ ჭაფარიძე.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ო. კელაპტრიშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 20 და 21 აგვისტოს 18 საათზე განსვენებულის ბინაზე — ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, მე-3 კვარტალი, მე-9 კორპუსი, ბ. № 3.

გამოსვენება — შაბათს, 22 აგვისტოს 15 საათზე, პროფკავშირების კულტურის სასახლიდან, ვაჟა-ფშაველას პრ. 43.

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა

I. შესავალი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის საფუძვლები (შემდგომში — „პროგრამა") შედგენილია „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და განსაზღვრავს პრივატიზაციის მიზნებს, ამოცანებს, აგრეთვე შეღავათებსა და შეზღუდვებს, დარგობრივ და ტერიტორიულ პრიორიტეტებს ამ სფეროში.

სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნის წესსა და პროცედურას განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრების აუქციონზე და საკონკურსო გაყიდვის და აქციონირების დებულებები. პროგრამა შეიცავს ერთიან მიდგომებს ობიექტების ღირებულების შეფასებისა და პრივატიზაციის ფორმებისადმი.

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის ძირითადი მიზნებია:

1. სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა საკუთრების სხვა ფორმებად, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საწარმოთა ქონების (ფასიანი ქაღალდების) შეძენა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეცვლა;
2. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია;
3. მეურნეობის ყველა ძირითად დარგში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების, მათ შორის უპირატესად კერძო საკუთრების დამკვიდრება, კონკურენციული გარემოს შექმნა, კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, საბაზრო მეურნეობაზე რეალური გადასვლა;
4. მცირე ბიზნესის განვითარება და მთლიანად ეკონომიკის რეანიმაცია, მისი გამოყვანა გაჭიანურებული კრიზისიდან, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება, სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესება;
5. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება;
6. არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზაციით სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლება მათი დოტაციისაგან;
7. საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრებით მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეების აღმოცენება და მაღალმწარმოებლური შრომისადმი მოტივაციის შექმნა;
8. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განთავისუფლება მათთვის არათვისობრივი ფუნქციისაგან — მეურნეობრიობისაგან;
9. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

პრივატიზაციით უნდა განხორციელდეს არაეფექტიანად ფუნქციონირებადი სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა ეფექტიანად მოქმედ კერძო საკუთრებად, ძირითადად გაყიდვით. მას შედეგად უნდა მოჰყვეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო სექტორის შეცვლა კერძო მეწარმეობით იმ ზომით, რა ზომითაც ეს უკანასკნელი რეალურად დაამტკიცებს თავის უპირატესობებს სახელმწიფო სექტორთან შედარებით, ამასთან ერთად, უნდა მოხდეს თვით სახელმწიფო სექტორის გადაყვანა კომერციულ საწყისებზე.

პრივატიზაციის პროცესში დღეს არსებული ლეგალური და არალეგალური კაპიტალი ჩაერთვება სამეურნეო საქმიანობაში ძირითადად საკონკურსო წესით და აუქციონებზე სახელმწიფო საწარმოების და ობიექტების გაყიდვით.

პრივატიზაციის სოციალურ ბაზას გააფართოებს სახელმწიფო ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის უფასოდ გადაცემა, მოსახლეობაზე საპრივატიზაციო ბარათების სახით, რაც, იმავე დროს, მოსახლეობის ყველაზე ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების სოციალური დაცვისა და საპრივატიზაციო ბარათებზე აქციების შეძენით გარკვეულწილად ბიზნესში მათი ჩართვის საშუალება იქნება.

საწარმოთა აქციონირება და აქციების გაყიდვა ღია ბაზარზე, ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებას.

პრივატიზაცია ეტაპობრივად განხორციელდება.

პრივატიზაციის პირველ ეტაპზე (1992 წლის მეორე ნახევარი — 1993 წლის პირველი ნახევარი) ძირითადად განხორციელდება ე. წ. მცირე პრივატიზაცია: ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების წვრილ საწარმოთა, აგრეთვე, დაბალრენტაბელური და ზარალიანი საწარმოების პრივატიზაცია, რამაც მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს მცირე ბიზნესს და გამოაცოცხლოს ეკონომიკა. ამავე ეტაპზე, მცირე პრივატიზაციის პარალელურად მოხდება მსხვილი საწარმოების ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა. ყოველივე ამით მომდევნო პერიოდში შეიქმნება რეალური წინამძღვრები და ორგანიზაციული სტრუქტურები სრულმასშტაბიანი პრივატიზაციისათვის.

პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების როლსა და ურთიერთქმედებას ამ პროცესში. აქედან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებისათვის, ყველა ტიპის სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე, იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილ სამეურნეო ორგანიზაციებში.

ქვეყანაში პრივატიზაციის ერთიან პოლიტიკას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც მასზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ქონების მართვის, შესაბამისი ორგანოების, ტერიტორიული სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით. იგი ამზადებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამას რესპუბლიკის სამინისტროებთან, კომიტეტებთან, დეპარტამენტებთან, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით.

საჭიროების მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და დამატებებს.

პროგრამის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი პერიოდულად წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას. ეს პროგრამა არ არეგულირებს მიწისა და საბინაო ფონდის პრივატიზაციას.

II. სახელმწიფო საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაცია ამჟამად არ არის გათვალისწინებული

პრივატიზაციის განხორციელების მოცემულ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული შემდეგი ობიექტების და საწარმოების პრივატიზაცია:

— წიაღისეული, წყლის რესურსები, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო ეკონომიკური და სასაზღვრო ზონები;

— დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;

— ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ღირებულების მქონე ობიექტები (მათ შორის, ისტორიული და კულტურის სახელმწიფო არქივები და მათი ფილიალები რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფო კინო-ფოტო და ფონოდოკუმენტების სახელმწიფო ფონდი), სახელმწიფო მუზეუმები;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინა, რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრები, სავალუტო რეზერვები, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ფონდი, სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე ფონდები, ეროვნული ბანკი, ოქროს მარაგი;

— გეოლოგიური, კარტოგრაფიულ-გეოდეზიური, ჰიდრომეტეოროლოგიური, გარემოს დაცვის და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მაკონტროლებელი სამსახურების საწარმოები და დაწესებულებები;

— ჯანმრთელობის დაცვის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, ვეტერინარულ, მცენარეთა დაცვის სამსახურებისა და სატყეო მეურნეობის საწარმოები და დაწესებულებანი;

— საპატენტო სამსახურების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამსახურების საწარმოები, მანქანათსაცდელი სადგურები და საგამოცდო ცენტრები;

— ელექტროენერგეტიკის მსხვილი საწარმოები და ობიექტები (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის);

— მილსადენი ტრანსპორტის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი, მეტროპოლიტენი, საქართველოს რკინიგზა და მათი სარემონტო საწარმოები;

— სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო დაწესებულებები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სხვა დარგობრივი სამინისტროების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებანი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები;

— სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ემსახურებიან საბიუჯეტო ორგანიზაციებს (საავადმყოფოები, ბაგა-ბაღები), სასკოლო კვების კომბინატები;

— სტრატეგიული დანიშნულების კავშირგაბმულობის საწარმოები და ობიექტები, სატელევიზიო რადიოგადაცემის ცენტრები;

— საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები;

— საიუველირო ნაკეთობათა საწარმოები, საწარმოები, რომლებიც მოიპოვებენ და გადაამუშავებენ ძვირფას ლითონებს, ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს, ნარკოტიკებისა და შხამიანი ნივთიერებების დამამზადებელი, აგრეთვე ნარკოტიკული და შხამიანი ნივთიერებების შემცველი კულტურების თესვის, მოყვანისა და გადამამუშავებელი საწარმოები;

— სასწავლო და სამაშველო სამსახურის ფლოტები, სანაოსნო ინსპექცია;

— სამობილიზაციო მარაგი;

— საინჟინრო ინფრასტრუქტურის (ელექტრო-თბო-გაზმომარაგების, წყალ-საკანალიზაციო მეურნეობის, ქალაქების გარე განათებისა და ქალაქების გარე კეთილმოწყობის) ობიექტები, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ექსპლუატაციას, მომსახურებას, მოვლა-პატრონობას და შეკეთებას;

— პანთეონები, სასაფლაოები;

— საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებები;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროსა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საშტატო და სარეზერვო ქონება;

— სანაშენე-საჯიშე, მეთესლეობის, სანერგე, საკარანტინე, ჯიშთაგამოცდის მეურნეობები (ნაკვეთები);

— გაზმომარაგების, გაზიფიკაციის, გაზის მეურნეობის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის გაზმომარაგების ერთიან სისტემას;

— სპეციალიზებული ელევატორები, მაცივრები, სასაწყობო მეურნეობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო რეზერვს და სამობილიზაციო მარაგს;

— მოსახლეობის სოციალური დაცვის ობიექტები.

III. 1992-1993 წლებში საპრივატიზაციო ობიექტები და საწარმოები, მათი პრივატიზაციის წესები და შეღავათები

1992-1993 წლებში სავალდებულო წესით განხორციელდება იმ საწარმოთა და ობიექტების პრივატიზაცია, რომლებიც ყველაზე მეტ ზეგავლენას მოახდენენ ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე, აგრეთვე, იმ საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა არაეფექტიანი მოქმედება ხელს უშლის ეკონომიკის გამოყვანას კრიზისიდან და ბაზრის ჩამოყალიბებას.

ასეთ ობიექტებს და საწარმოებს მიეკუთვნება:

საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და ობიექტები.

სავალდებულო პრივატიზაციას დაექვემდებარება ზარალიანი საწარმოების უმრავლესობა ეკონომიკის ყველა ძირითად დარგში, დაკონსერვებული და დაუმთავრებელი მშენებლობის და სხვა ობიექტები, რომელთა მშენებლობის ნორმატიული ვადები გასულია.

1992-1993 წლებში გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოთა ქონების პრივატიზაციის შემდეგი ფორმების გამოყენება:

— საწარმოთა გაყიდვა აუქციონზე;

— საწარმოთა საკონკურსო გაყიდვა;

— ღია სააქციო საზოგადოების აქციების გაყიდვა;

— საიჯარო ქონების გამოსყიდვა.

ცალკეულ საწარმოთა ქონების პრივატიზაციის ინიციატორები შეიძლება იყვნენ:

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო;

— საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საწარმოთა შრომითი კოლექტივები.

— საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და არასახელმწიფოებრივი იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან კერძო მეწარმეობას;

— უცხოელი ინვესტორები;

აუქციონებზე, როგორც წესი, შეიძლება გაიყიდოს მცირე საწარმოები.

დიდი საწარმოები, როგორც წესი, პრივატიზაციას ექვემდებარება მათი ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. საწარმოთა დანარჩენი კატეგორია შეიძლება დაექვემდებაროს პრივატიზაციის ნებისმიერ ფორმას.

პრივატიზაციის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანო, საწარმოს საპრივატიზაციო კომისიის დასკვნის, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის ამ პროგრამის, სხვა ნორმატიული აქტების და საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკთა აზრის გათვალისწინებით.

აქციები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და გაიყიდება ღია ბაზარზე.

უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობა აქციების შეძენაში რეგულირდება სპეციალური დებულების საფუძველზე.

სახელმწიფო საწარმოთა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესში, საწარმოს პრივატიზაციის შესახებ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები განხორციელდება შემდეგი წესით:

1. საპრივატიზაციო საწარმოს ყველა მუშაკს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემა საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტამდე ოდენობის სახელობითი პრივილეგირებული (ხმის უფლების გარეშე) აქციები, მაგრამ საერთო ჯამში, არაუმეტეს საქართველოს რესპუბლიკაში მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობისა, საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით.

2. საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტამდე ოდენობის ჩვეულებრივი აქციები, მაგრამ საერთო ჯამში არაუმეტეს საქართველოს რესპუბლიკაში მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობისა საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, იყიდება ხელმოწერით საწარმოს მუშაკებზე ნომინალური ღირებულების 20 პროცენტის ფასდაკლებით და ორი წლის განვადებით, ამასთან აქციის გამოსასყიდი პირველადი გადასახადი არ უნდა იყოს აქციის ნომინალური ღირებულების 20 პროცენტზე ნაკლები.

3. საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკებს, ჩვეულებრივი აქციების შეძენისთვის შეუძლიათ გამოიყენონ საწარმოს ეკონომიური სტიმულირების ფონდში დარჩენილი სახსრები.

4. თუ კონკურსის ან აუქციონის მეშვეობით, სახელმწიფო საწარმო შეიძინა მისი მუშაკების მიერ ჩამოყალიბებულმა ამხანაგობამ, მაშინ, მასზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

5. შეღავათებით გადასაცემი აქციების განაწილების წესს განსაზღვრავს საწარმოს მუშაკთა საერთო კრება (კონფერენცია).

6. აქციების შეღავათიანი მიყიდვა საწარმოს მუშაკთათვის, რომელიც განსაზღვრულია ამ პროგრამით, ხორციელდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი.

თუ ხელმოწერის ჯამი აღემატება ზემოაღნიშნულ ოდენობას, საწარმოს საპრივატიზაციო კომისია ამცირებს ყველა მუშაკის წილს თანაბარი პროპორციით, რათა დაცული იყოს აღნიშნული შეზღუდვები.

7. აღნიშნული შეღავათები ვრცელდება: იმ მუშაკებზე, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს; იმ პირებზე, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში; პენსიონერებზე, რომლებიც გავიდნენ პენსიაზე საწარმოდან და იმ პირებზე, რომლებიც 1992 წლის 1 იანვრიდან მოხვდნენ შემცირებაში და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები.

საწარმოთა საკონკურსო გაყიდვები ხორციელდება დახურული აუქციონის პრინციპით იმ შემთხვევაში, როცა საპრივატიზაციო ობიექტების შემძენთ მოეთხოვებათ გარკვეული პირობების შესრულება (ობიექტის პროფილის, სამუშაო ადგილების, საქონლისა და მომსახურების მოცულობის შენარჩუნება, ინვესტიციების გაწევა და სხვა).

კომერციულ კონკურსზე ობიექტის მესაკუთრე ხდება ის მყიდველი, რომელიც გადაიხდის მაქსიმალურ ფასს.

საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, საწარმოს პრივატიზაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (განაცხადის ინიციატორის მიუხედავად) და მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე (აქციონერთა პირველი კრების ჩატარებამდე) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების გარეშე იკრძალება:

— საწარმოს რეორგანიზაცია, მისი სტრუქტურების ლიკვიდაცია და შეცვლა;

— საპრივატიზაციო საწარმოს მიერ დაკავებული შენობების, ნაგებობების და სათავსების გამოყენებაზე ადრე დადებული საიჯარო ხელშეკრულებების მოქმედების შეცვლა და შეწყვეტა.

ამავე პერიოდში აგრეთვე იკრძალება საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება საწარმოს (ქვედანაყოფის) მუშაკთა საერთო კრების ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე.

IV. საპრივატიზაციო ბარათების გამოყენება 1992-1993 წლებში

1. მოსახლეობის სოციალური ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს საშუალება ექნება, უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო საკუთრების წილი, რისთვისაც 1993 წლის 1 იანვრიდან შემოღებული იქნება საპრივატიზაციო ბარათები (ანაბრები). საქართველოს მთავრობა საპრივატიზაციო ბარათების დარიგებამდე ერთი თვით ადრე განსაზღვრავს საპრივატიზაციო ბარათებზე გასაცემი საერთო თანხის მოცულობას და ერთ მოქალაქეზე გადასაცემი თანხის ოდენობას.

2. საპრივატიზაციო ბარათების მიმოქცევის მომსახურების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ქმნის და ხელს უწყობს სპეციალური საფინანსო ინსტიტუტების (საინვესტიციო კომპანიების, ფონდების და სხვათა) ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს მათში სამეწარმეო სტრუქტურების ფართო მონაწილეობას.

3. მოქალაქეთა მიერ საპრივატიზაციო ბარათებით საპრივატიზაციო ქონების შეძენის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი, 1992 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოფს მსხვილ საწარმოთა (1992 წლის 1 იანვრისათვის 20 მლნ. მანეთზე მეტი საბალანსო ღირებულებით) ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას. ამგვარ საწარმოთა ხელმძღვანელებს ევალებათ შეიმუშაონ სააქციო საზოგადოებების დასაფუძნებელი დოკუმენტების პროექტები და მათი პრივატიზაციის გეგმები „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" კანონის, ამ პროგრამის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული გეგმა, საწარმოს მუშაკებთან შეთანხმებული, ხელმძღვანელებმა უნდა წარმოადგინონ სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში არაუგვიანეს 1992 წლის 1 ნოემბრისა.

V. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ორგანოების ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის და სხვა ორგანოებთან პრივატიზაციის განხორციელების პროცესში

სახელმწიფო საკუთრების ობიექტთა გამყიდველად გამოდის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო.

სახელმწიფო ვაჭრობის (გარდა რეგიონთაშორისი ობიექტებისა); საზოგადოებრივი კვების; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგების; ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, რომელთა დანიშნულებაა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საჭიროებისა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სარემონტო-სამშენებლო, სპორტული, ტურისტული საწარმოების, რომელთა საბალანსო ღირებულება არ აღემატება ერთ მილიონ მანეთს (1982 წლის ფასებში) ან მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცამდეა, პრივატიზაციას, მიუხედავად დაქვემდებარებისა, ახდენს, როგორც წესი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები შეიმუშავებენ რესპუბლიკური საკუთრების ობიექტთა პრივატიზაციის დარგობრივ სარეკომენდაციო პროგრამებს, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული ორგანოები, სამინისტროებთან და უწყებებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავებენ ქონების პრივატიზაციის ტერიტორიულ პროგრამებს, რომლებსაც წარადგენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც ყოველწლიურად აზუსტებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა მუშავდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოს მიერ რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან კონსულტაციის საფუძველზე, კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ, პროგრამას ამტკიცებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რის შემდეგაც, იგი იქცევა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შემადგენელ ნაწილად.

პრივატიზაციის ტერიტორიული პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში ამ პროგრამის დამტკიცებიდან.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა უნდა გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა:

— არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ პროგრამის ძირითად დებულებებს;

—უნდა შეიცავდეს პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ობიექტების ნუსხას.

ადგილობრივი პროგრამები მუშავდება 1 წლის ვადით.

პროგრამის მიხედვით, დასახული ამოცანების შესრულების შესახებ, ანგარიშის წარმოდგენის ფორმები და ვადა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამების შესრულების საერთო კონტროლი ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

ვინ გაყო საქართველო და აფხაზეთი!

რა გენოციდი, რის გენოციდი?!

როლანდ თოფჩიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი.

დაუჯერებელ ამბებს გადმოსცემენ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები — პრეზიდენტყოფილისა და მისი საზღვარგარეთელი წარმომადგენლების უპასუხისმგებლო განცხადებებს, აფხაზეთის მოვლენებს ბოსნია-ჰერცეგოვინის მოვლენებს ადარებენ, სადაც სერბები მუსლიმანებსა და ხორვატებს ჟლეტავენ, შევარდნაძეს აფხაზი ხალხის გენოციდს აბრალებენ. აშკარაა, რომ ხელისუფლებას დახარბებული, პოლიტიკურად დაბრმავებული პრეზიდენტყოფილი სამშობლოს ღალატობს. კი, მაგრამ, ექსპრეზიდენტმა და მისმა საზღვარგარეთელმა მეინახეებმა (თუშმალიშვილმა, ხირაძემ, კოდუამ) რატომ მაშინ არ ამოიღეს ხმა, როცა თვით აფხაზი ხალხის მოღალატე არძინბამ და ერთმა მუჭა ექსტრემისტებმა ყოვლად უკანონოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მისი კონსტიტუცია გააუქმეს და აფხაზეთის სუვერენიტეტი გამოაცხადეს? რატომ მაშინ არ გააკეთეს პრეზიდენტყოფილმა და მისმა დამქაშებმა საჭირო განცხადება? — ეს აფხაზეთის გენოციდით, ეს შევარდნაძის დიქტატურით... საქართველოში დიქტატურამ მოჭამა დრო. ქართველ კაცს აფხაზი არასდროს სძულდა, არა სძულს და არც არასდროს მოუწყობს გენოციდს. საქართველო და მისი ხელმძღვანელობა ქვეყნის საზღვრებს იცავს, იმ საზღვრებს, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ცნო; საქართველო და მისი ხელისუფლება პრეზიდენტყოფილის მიერ წაბილწულ, ზნეობრივად გადაგვარებულ ქართველებს ებრძვის, ებრძვის იმათ, ვისაც საქართველოს ასაოხრებლად არძინბამ თავშესაფარი მისცა.

ვიმეორებ, ქართველი არასოდეს მოუწყობს აფხაზს გენოციდს, აფხაზი ჩვენი მოძმეა. დადგება დრო, ქართველობა აფხაზების გამრავლებისთვისაც იზრუნებს. საუკუნეობრივმა თანაცხოვრებამ ჩვენ ერთი კულტურის, ერთი ყოფის ხალხად ჩამოგვაყალიბა. აფხაზ ხალხში ხომ ქართული სისხლი სჩქეფს და ქართველ ხალხში — აფხაზთა სისხლი. ტრადიციულ ქართულ-აფხაზურ ქორწინებებს რომ თავი დავანებოთ, რამდენი აფხაზია დღეს ქართული გვარით.

აშკარაა, რომ რეაქციული წრეები ქვეყნის გარეთ საქართველოს დაქუცმაცებით არიან დაინტერესებული. გვიქმნიან კონფლიქტებს, გვიწყობენ პროვოკაციებს, რათა მუდამ მათზე ვიყოთ დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ძვირად გვისვამენ თავისუფლებას. ერთი ცეცხლი შიდა ქართლში დღეს ერთადერთი ქართველი ნამდვილი პოლიტიკოსის (ნუ მიწყენენ სხვა პოლიტიკოსები) ძალისხმევით თითქოს ჩაქრა, მაგრამ ახალი ცეცხლი დაგვინთო არძინბა-დუდაევ-გამსახურდიას ალიანსმა. რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებს ჩვენს საქმეში ოფიციალური ჩარევისგან, მაგრამ, ცდილობს, ჩრდილოკავკასიელი მეზობლები მოგვისიოს, საბოლოოდ დაღუპოს ისინიც და ჩვენც. აშკარაა, არძინბა რუსეთის რეაქციული წრეების კაცია, მათ დავალებებს ასრულებს. თუ აფხაზეთისთვის კარგი სურდა, რატომ ერთხელ მაინც არ შეხვდა საქართველოს ხელმძღვანელობას, რუსეთში, იტალიაში, თურქეთში სახიარულოდ და საქართველოს წინააღმდეგ ინტრიგების სახლართავად კი მოიცალა. რუსეთის რეაქციული წრეების კაცია დუდაევიც. იგი ჩეჩნეთის პრეზიდენტად მათი „შეგდებულია"... ახლა კი დუდაევი საქართველოს ასაოხრებლად ემზადება და ამ აოხრებას გულისფანცქალით ელოდება პრეზიდენტყოფილი, რათა ქართველთა სისხლის ფასად დაიბრუნოს პრეზიდენტობა, საბოლოოდ „მიაწოდოს" საქართველო რუსეთს. პრეზიდენტყოფილსა და მის დამქაშებს მტერი საქართველოს წინააღმდეგ იყენებს. ნუთუ ვერ ხვდებიან ამას? რეაქციული ძალები ცდილობენ ორჯონიკიძეობა დააკისრონ მას.

იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდნენ პრეზიდენტყოფილის მომხრეები, მიხვდნენ, ვისთანა აქვს კავშირი, ალიანსი მათ კერპს. ჩვენთვის ერთადერთი კერპი საქართველო უნდა იყოს, ჩვენი სამშობლო, და არა რომელიმე პიროვნება, ვინც უნდა იყოს იგი, ძვირფასო თანამემამულენო, ვისაც სატანამ თვალები დაგივსოთ, იქნებ ახლა მაინც მიხვდეთ, რა ხდება, მიხვდეთ, რომ პრეზიდენტყოფილი ქართულ საქმეს არ აკეთებს; პრეზიდენტყოფილი ფაქტობრივად ჩვენს გარეთ არსებული რეაქციული წრეებისა და ლენინელი არძინბა-დუდაევის მეინახეა, მათ დავალებებს ასრულებს; მას სამშობლოს წინააღმდეგ იყენებენ, თანამდებობის დაბრუნების მოლოდინში უკადრებელს კადრულობს.

ქართველი კაცისთვის უცხოა გენოციდი, აფხაზების გენოციდი, მით უმეტეს აფხაზებს გენოციდი თავის დროზე სწორედ რუსეთის რეაქციულმა წრეებმა მოუწყვეს. როდესაც აყარეს და მუჰაჯირთა გზას გაუყენეს. ეს ქართველი ხალხის ტრაგედიაც იყო. ჩვენი ხელისუფლება საკუთარი სამშობლოს საზღვრების ხელყოფის მსურველთ ებრძვის, აფხაზეთში მცხოვრები დაბეჩავებული ქართველების ინტერესებისთვის იღვწის.

იქნებ ახლა მაინც საბოლოოდ გაახილოთ თვალი. გავერთიანდეთ, შევკავშირდეთ და დავინახოთ, ვინ ვინ არის. ერთ რამეში დარწმუნებული ვიყოთ, ბატონ შევარდნაძის დიპლომატია და პოლიტიკური დიდოსტატობა საბოლოოდ დაამარცხებს რეაქციულ ძალებს და საქართველოს მტრებს.

სოხუმიდან გვატყობინებენ

ომისა და შიმშილის შიშით

თენგიზ ჯიბუტი

„დუდაევის სინდრომმა", რომელსაც მეორე დღეა აძლიერებს ხმები იმის შესახებ, რომ გუდაუთაში უკვე დგას ჩეჩნეთიდან მოსული 58 ტანკი სოხუმის ახლოს, ეშერაში კი თითქოს განლაგდნენ ჩეჩენ ბოევიკთა რაზმები, თავისი როლი შეასრულა. 18 აგვისტოს ქალაქი დილიდანვე პანიკამ მოიცვა. შიშობდნენ, რომ აფხაზეთის გვარდია დავალებას მიიღებდა და საომარ მოქმედებაში ჩაებმებოდა, შეტაკება შეიძლება დაწყებულიყო საცხოვრებელ უბნებში. ყველა ეროვნების ადამიანებმა ავტობუსებითა და საზღვაო კატარღებით დაიწყეს თავიანთი შვილების გაყვანა, ვინ ბათუმში, ვინ ფოთში, და ვინ ადლერსა და სოჭში, ამას ხელს უწყობდა ამას წინათ მოსკოვის ტელევიზიით გადმოცემული პროვოკაციული ინფორმაციაც, რომ თითქოს აფხაზეთში თარეშობენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარები. პანიკურ შიშს განსაკუთრებით რუსები აჰყვნენ, რომლებმაც მთელი ოჯახებით სოჭს მიაშურეს.

ამ დროს კი ქალაქს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს. შემოაკლდა პური. დახურულია პურის ქარხნები — ფქვილი არ არის [illegible] ჯერ კიდევ გუშინ საღამოს როგორღაც შეიტყო ქალაქის მოსახლეობამ და ღამით კვლავ იმძლავრა ძარცვა-გლეჯამ, ჯერ ვიღაც შეიარაღებული ბანდები, მათ კვალდაკვალ კი ახლომდებარე უბნების მცხოვრებნი დაესხნენ თავს სოხუმის რკინიგზის სადგურის ლიანდაგზე მდგარ სატვირთო ვაგონებს და დაიწყეს მათი ძარცვა. თვითმხილველებმა თქვეს, რომ ეზიდებოდნენ შაქარს, კონსერვებს და სხვა პროდუქტებს.

ბუნებრივია პანიკამ მოიცვა ადამიანები, რომლებსაც არავითარი ინფორმაცია არ აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება მოლაპარაკების პირობები, დაპირებისამებრ, რატომ აქამდე არ დაუწესდა ქალაქს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფების კონტროლი და ბოლოს და ბოლოს შემოიღებენ თუ არა სოხუმში კომენდანტის საათს.

და მაინც ქალაქის ცენტრში, მის ნაკლებ სახიფათო ნაწილში 17 აგვისტოს საღამოს სოხუმის მცხოვრებნი მიტინგზე შეიკრიბნენ. ადამიანები წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ავანტიურისტ პოლიტიკანებს, რომლებმაც აფხაზეთი ძმათამკვლელ ომში ჩაითრიეს, მოითხოვდნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დაშლას და მისი თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას გადადგომას.

ახლა რაიონში, საიდანაც ამ რეპორტაჟს გადმოვცემ და სადაც ბევრი აფხაზი ცხოვრობს, სხვა აზრის არიან. ისინი ყველაფერში ბრალს სდებენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, რომელმაც „სუვერენულ" აფხაზეთში თავისი ჯარები შეიყვანა მისი ოკუპაციის მიზნით. თუმცა არიან მათ შორის საღად მოაზროვნე ადამიანებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აფხაზეთის მხარეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეყვანა საქმე ტრაგედიამდე, მაგრამ ასეთებს ცოტა ვინმე თუ უსმენს.

საერთოდ, მადლობა ღმერთს, ამ მჭიდროდ დასახლებულ მიკრორაიონში მეგობრულად ცხოვრობენ აფხაზები და ქართველები, სომხები და რუსები... ყველა ერთად შეუპყრია ქალაქში ჯერჯერობით მინელებული ომისა და მოსალოდნელი შიმშილის შიშს.

აქედან ორ ნაბიჯზე, მდინარე გუმისთას ნაპირზე დგას აფხაზეთის გვარდია. სულ რაღაც თხუთმეტი კილომეტრი აშორებს მას საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარებისგან, და თუ დაირღვა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, შეიძლება გაუთვალისწინებელი მოვლენები დატრიალდეს. მაგრამ კიდევ ერთი იმედი გაჩნდა — აფხაზეთში სამშვიდობო მისიით ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები, დელეგაცია თბილისიდან.

ნუთუ არ დახვდება მათ აფხაზური სიბრძნე და არ გაკეთდება ყველაფერი, რათა ამ ღვთით კურთხეულ მხარეში არ იყოს არც ომი, არც შიმშილი?

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის მორიგ სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარა ორი ბლოკი: საარჩევნო ბლოკი „11 ოქტომბერი", რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს სახალხო ფრონტი, პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევნები საქართველოსთვის" — დასი, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საარჩევნო ბლოკი „ერთობა", რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, საქართველოს მწვანეთა პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავლანელთა) პარტია. ამით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია დაამთავრა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა კომისიის მიერ პარტიული სიების მიღებისა და მათი რეგისტრაციის წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვედ საკუთარ სამშობლოში!

„ნუთუ იმათ დედები არა ჰყავთ?"

— კითხულობს სანდრო კავსაძის დედა

ილია ჭავჭავაძის პროსპექტი 66, ოროთახიანი ბინა მესამე სართულზე. ტელეფონის ზარის ყოველი გაწკრიალება აქ ახალი იმედის აფეთქება და კვდომაა.

აქ ელიან.

როცა ახალ-ახალი განსაცდელისაგან დაბნეულები, შეძრწუნებულები ერთმანეთს ვეკითხებით, რა ხდება ჩვენს თავს, მართლა აპოკალიფსი ხომ არ მოგვიახლოვდა-მეთქი, ამ ოჯახის დედისათვის აპოკალიფსი უკვე დამდგარა: ორმოცი დღეა, ის განაჩენს ელის. შეწყალებას ელის, ოღონდ არ იცის — ვისგან. არ იცის, ვის ჰყავს მძევლად მისი შვილი.

— ნუთუ იმათ დედები არ ჰყავთ? ნუთუ დედაშვილობის, დედმამიშვილობის სიტკბო და სიმწარე არ განუცდიათ? რად გვაწამებენ ასე?

ჩემი შვილის მოლოდინში ამომივიდა სული. ზოგჯერ მინდა გარეთ გავვარდე, ვიყვირო, ვიკივლო, ქვეყანა შევყარო, მაგრამ რომ იკითხავენ — ეს ქალი ვინ არისო? სანდრო კავსაძის დედას ამის უფლება არა აქვს...

ხუთი შვილი — სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი აღუზარდა ქვეყანას ელიზა მაჭავარიანმა-კავსაძემ. ხუთი ღირსეული მოქალაქე. ამათგან ერთი, 29 წლის ვაჟი, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ოცდახუთი წლის წინათ. მას მერე დედას შავი აღარ გაუხდია, მამა დარდს გადაჰყვა.

— განა უსამართლობა არ არის, მძევლად გყავდეს კაცი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება სამართლიანობისათვის იბრძვის? ბავშვობიდან ასეთი იყო — სამართლიანი, სხვათა ჭირის მოზიარე, გაჭირვებულის მხარში ამომდგომი. ვიცი, ახლა ფიქრობთ, ყველა დედას ეძვირფასება თავისი შვილი, მაგრამ თქვენ ხომ სანდროს არ იცნობდით...

სანდრო კავსაძეს მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ ამ უკანასკნელ წლეწადს ჩვენთვის უფრო გაიხსნა მისი სახე. საერთო ტკივილმა უფრო დაგვაახლოვა ერისკაცნი და ერისშვილები. ტელევიზორის ეკრანს მიდარაჯებულნი, მოუთმენლად ველოდით, რას გვამცნობდა სამაჩაბლოს მოვლენებზე. იმედი გვქონდა მისი სიდარბაისლის, პასუხისმგებლობის გრძნობის, ვაჟკაცობის. მისი გულისცემა ჩვენს საერთო გულისცემასთან იყო დაკავშირებული, მასაც ჩვენსავით და ჩვენზე უფრო სტკიოდა საქართველოს ისტორიული ჭრილობები.

— სიკვდილის წინ ჩემმა მეუღლემ შვილებს დაუბარა: იცოდეთ, ხაფლავში არ შემაწუხოთო. საკუთარი კეთილდღეობა სხვის ხარჯზე არ ააგოთ, სხვა ადამიანის დათრგუნვას არასოდეს ეცადოთ, მუდამ საკუთარი ჭკუით და სინდისით იცხოვრეთო. ჩემი მეუღლე სულ კარგ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ მის ოჯახს ეს არასოდეს გვიგვრძნია. მეშვიდე კლასიდან ორივე ბიჭი — სანდროც და სოსოც „საქსოფლტექნიკაში" მუშაობდნენ მუშად — მძიმე ყუთებს ეზიდებოდნენ ზურგით. რომ შეეკითხებოდნენ, რა გიჭირს ისეთი, ბავშვებს რომ ამუშავებ კურტნის მუშადო, უპასუხებდა: არა უშავს, ღონე არ აკლიათ, გაიგონ, როგორი სიმწრით შოულობს ლუკმას მუშაკაციო. მეც ძალიან მკაცრად ვზრდიდი შვილებს და კარგებიც იმიტომ გამომივიდნენ... დიდი ბიჭები იყვნენ, მანეთიანს რომ გავატანდი მაღაზიაში, სამ პურს მომიტანდნენ და 10 კაპიკს ხურდასაც იქვე დამიდებდნენ. მეზობლებს რომ დაინახავდნენ ტვირთით, შეეგებებოდნენ და ტვირთს ჩამოართმევდნენ.

როგორი მომთმენი იყო სანდრო! სულ პატარას, ავად რომ გახდებოდა და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, შევეკითხებოდი — ცაცალო (მეტსახელად ასე ვეძახდით) როგორ ხარ-მეთქი, კარგად, დედაო, გადმომხედავდა სიცხისაგან გათანგებული, აპრიალებული თვალებით. მისი დაჩივლება არასოდეს გამიგონია...

მე და ჩემი მეუღლე, ერთ სულ და ერთ ხორც რომ იტყვიან, ისე ვიყავით. და მეც თან სამი შვილი აქ დავტოვე, ომში რომ გაიწვიეს წავყევი მედდად (ბრანდენბურგამდე ერთად ვიარეთ, იქიდან კი ფეხში დაჭრილი (ტყვია მომხვდა დაჭრილის გამოყვანისას), რვა თვის ფეხმძიმე სამშობლოსაკენ გამოვემგზავრე. ქუთაისში შემეძინა ჩემი სანდრო. დიდი ბიჭი იყო, ხუთი კილო და შვიდასი...

და-ძმები სულს ლევენ ერთმანეთისთვის. ერთხელ, მახსოვს, სოსო (სანდროზე სამი წლით უმცროსი) დავსაჯე — მაგიდის ფეხს გამოვაბი ბაწრით. მისულა სანდრო, ის აუხსნია და თავისი თავი დაუბამს, ძმისათვის კი უთქვამს: აქვე იდექი, ვითომ ისევ დაბმული ხარო. ახლა საწყალი სოსო სამეგრელოსა და თბილისს შორის გზაზეა გადებული — ძმის გზაკვალს ეძებს. დარდისაგან დაილია ისიც, სანდროს ოჯახიც, მისი სამი შვილი...

ამას წინათ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ვიყავი. ვეღარ შევტირე, ისე იყო თვითონ შეწუხებული, ვიცი, ჩემზე ნაკლებად არც ის იტანჯება — მარჯვენა ხელი იყო ჩემი სანდრო მისი — და ყველაფერს აკეთებს მის დასახსნელად. არა, ღმერთი არ გაგვწირავს... ბატონ ედუარდს როგორ გაწირავს — ასეულ მილიონობით ადამიანის მხსნელსა და საქართველოს იმედს! არც მე უნდა გამწიროს — ერთი უბრალო ქალი ვარ, მაგრამ სიცოცხლეში სიკეთის მეტი არაფერი დამითესია. ამ ჩემს პატარა, ღარიბულ ბინაში შვილების გარდა კიდევ თერთმეტი ახალგაზრდა აღვზარდე და გზაზე დავაყენე.

ოთახში სანდრო კავსაძის ოთხი წლის შვილიშვილი შემოვიდა. ბებიას კალთაში თავი ჩაუდო და მე შემომაჩერდა.

— ესეც დარდობს ბაბუამისს. ა, ბებია, დეიდა ამბობს, მალე მოვა სანდრო ბაბუაო.

ბავშვი გავიდა, მალევე დაბრუნდა და წითელი ყვავილი მომაწოდა, აივნებზე რომ ახარებენ ხოლმე (ჩემს ბავშვობაში იმ ყვავილს „გრამოფონს" ვეძახდით).

— კიდევ რომ ნახავ სანდრო ბაბუას, უთხარი, ეს ყვავილი ნესტანმა გამოგიგზავნა-თქო.

კიდევ ერთი ტანჯვის ღამე დგება ამ ოჯახში. ორმოცი დღეა, სამოცდათორმეტ წელს გადაცილებული ქალი თვალგახელილი ელოდება ყოველ ალიონს. მერე ჩათვლემს. ჩათვლემს და მაშინვე შეაბიჯებს თავის ახალგაზრდობაში, სადაც ყველაფერი ისევ ისეა, უწინდებურად— ფიქრები, ხმები და ახლობელთა ძვირფასი ხატებანი.

უფალო, უფალო, უფალო, შეიწყალე ეს მრავალჭირგადანახადი, მრავალნაჯაფი, მრავალსიკეთისმთესველი ქალი: გაუნათე მშვიდობის დილა...

ნანული ბარათაშვილი.

დგანან და ელიან...

ისტორია მეორდება. ორი წლის წინათ, ნებისმიერი საშუალებით, უნივერსიტეტში, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის ნაცად „მეთოდს" წლეულსაც წარმატებით იყენებენ. წარსულის მწარე გამოცდილებამ, ეტყობა, ვერაფერი ასწავლა ვერც აბიტურიენტებს, ვერც მათ მშობლებს და ვერც ქართული უმაღლესი სკოლების მესვეურებს.

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა 15 აგვისტოს უნივერსიტეტში ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიებში ბევრმა საკუთარი გვარი ვერ იხილა. ისინი მართლაც საკმაოდ ბევრნი არიან — საინჟინრო-ეკონომიკური, იურიდიული, აღმოსავლეთმცოდნეობისა და რამდენიმე სხვა ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველი ახალგაზრდები და, რასაკვირველია, მათი მშობლები.

ტირილი, კვნესა, გოდება, თხოვნა... მაჩვენებენ საგამოცდო ფურცლებს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე შემსვლელი ოცდათორმეტქულიანი აბიტურიენტები, გამსვლელი ქულა კი ოცდათოთხმეტი ყოფილა. 25-27 ქულიანები გადაანაწილეს სხვადასხვა ფაკულტეტის ვაკანტურ ადგილებზე, ჩვენ რაღას გვერჩოდნენო, — მეუბნებიან. მომითხრობენ საგამოცდო პროცესში დაშვებულ შეცდომებზე, რექტორის დაპირებაზე, თითქოს დადებითქულიანი ყველა აბიტურიენტი ჩაირიცხებოდა, და ა. შ. ვითარება მეტად დაძაბა სხვა გარემოებამაც: დაურიგეს საგამოცდო ფურცლები და უთხრეს, მიბრძანდით ან ტექნიკურ, ან აგრარულ უნივერსიტეტში. ჩვენ შეთანხმებული ვართ, მათ აქვთ თავისუფალი ადგილები და მიგიღებენო. აქ კი უპასუხეს: ჩვენ რა შუაში ვართ, ყველამ თავის საქმეს მიხედოსო... ამრიგად, აგორდა ბორბალი და სახელმწიფო საბჭოსთან მიგორდა. ცნობილი სცენარი, პროტესტის ჩვეული ფორმა: რექტორს რომ ვერ შეხვდნენ, უფრო მაღალ ინსტანციას მიმართეს.

რამდენად სამართლიანია მათი მოთხოვნა? — ძნელი სათქმელია, სამართლიანობასაც და უსამართლობასაც მათთვის ახლა ერთი ფასი აქვს, მთავარია ჩარიცხვა.— გადაგვიყვანონ სხვა ფაკულტეტებზე, ან საღამოს და დაუსწრებელი სწავლება დაუშვან. ან შეღავათიანი ფასები დაგვიწესონ და ფულს გადავიხდითო. სამაგიეროდ, დედაბუდიანად დანგრეული თბილისის აღდგენაზე ვიმუშავებთო, — აცხადებენ ისინი.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ხალხთან შეხვედრის შემდეგ? უმაღლესმა სასწავლებლებმა ავტონომია მიიღეს. წესით, საკუთარ ბედსაც თვითონ უნდა განაგებდნენ და აბიტურიენტებისასაც. მაგრამ რატომ არ ხდება ასე? დამოუკიდებლობა არ გვყოფნის? რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, რეალური ცოდნა უნდა ფასდებოდეს, მაგრამ, ალბათ, არც ისეთი დაპირებებიც უნდა მივცეთ ხალხს, რომელსაც ვერ შევასრულებთ.

ახლა ეს ხალხი სახელმწიფო საბჭოსგან ელის დახმარებას, მაგრამ, ასეთი საკითხების გადაწყვეტა სახელმწიფო საბჭოს ფუნქცია რომ არ არის?! ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში ბრძანა: თუ ამ პრობლემას სამართლებრივი ასპექტები აქვს, მაშინ სასამართლოს მივანდოთ მისი გადაჭრა, თუ აბიტურიენტებს ნიშნები დააკლეს, საპროტესტო კომისიამ უნდა იმსჯელოს ამაზე. მაგრამ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს არაფრის გაგონება არ სურთ. დგანან და ელიან. მათი სურვილი ერთია — უნივერსიტეტში მოხვედრა, და ვინ დაეხმარება ამ საქმეში, მათთვის სულ ერთია. სანამ ისინი სახელმწიფო საბჭოს შენობის წინ ათენებენ და აღამებენ.

ზაურ მაკარაძე.

• • •

სურათზე: საპროტესტო აქციის მონაწილენი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ეროვნული კულტურის დაუფასებელი დარგი

თვალსაზრისი

ლევან ფრუიძე, ეთნოგრაფი
შალვა ლობჟანიძე, ვაჭრობის სამინისტროს საზკვების სამმართველოს მთავარი ტექნოლოგი.

ვწამს, თავისუფლების შობით გამოწვეულ ტკივილებს საქართველო მალე დაიამებს და ჩვილის მოვლისთვის საჭირო გულმოდგინებით შეუდგება შებღალული ცხოვრების წესის და ეროვნული ტრადიციების აღდგენას.

დაუყოვნებელ გადასაწყვეტ პრობლემათა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს იჭერს ხალხის კვების მოწესრიგება. რაც უფრო მეტია დეფიციტი მით უფრო ირღვევა მრავალათასწლოვანი ცოდნა-გამოცდილებით ჩამოყალიბებული კვების რეჟიმი, რომელიც ღვთაებრივ რწმენამდე იყო ამაღლებული და სარწმუნოებით მოწესრიგებული.

უძველეს ქურუმულ ცოდნაზე დაფუძნებული სამყაროს შეცნობის საიდუმლოება, რომლითაც ადამიანი და ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო სხეული ერთი მთელის ნაწილია და მათ შორის შინაგანი, ჰარმონია სუფევს (რაც ცოცხალ არსებებს ბიორიტმების სახით გადაეცემათ), ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში პრაქტიკულად იყო შეცნობილი და განხორციელებული.

საკუთარი საცხოვრისის ამომწურავი ათვისება, როცა კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურის გავლა ძირითადად დედამიწის იმ მონაკვეთზე განხორციელდა, რომელსაც დღეს საქართველო ეწოდება, ოდითგანვე საშუალებას იძლეოდა ქართველთა ყოფას მკვეთრად გამოხატული თავისთავადობა და ორიგინალობა ჰქონოდა. უაღრესად განვითარებული მეურნეობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მაღალღირსებით გამორჩეული, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი კულტურულ ჯიშთა მთელი სისტემა. როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში, პროდუქტიულობასთან ერთად, ეკოლოგიურ სიწმინდესაც უზრუნველყოფდა. ალალი ოფლით მოწეული ჭირნახულის გარდა, ქართველ ხალხს ღვთაებისაგან ნაბოძები ჰქონდა ბარაქიანი და მადლიანი ბუნების მზამზარეული ნობათი — „მთის, ტყის, ველის და წყლის ნაწილი", რომელთა დაცვა-მოხმარება-განაწილება ადათ-წესები, რელიგიური იდეოლოგიით იმართებოდა. ნაირნაირი საზრდო — გარეული მცენარეები, სანადირო ცხოველები და ფრინველები (მარტო ხოხბის ჩახოხბილი რად ღირს!..), ძვირფასი თევზებით სავსე მდინარეები, ტბები, ზღვა, საკალმახენი, საორაგულენი, საზუთხენი, სალოქოეე, ლაქაშები, ნოყიერ და ვიტამინებით გაჯერებულ საკვებს იძლეოდა. სწორედ ამითაც იყო განხორციელებული ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი ფიზიკური და გონებრივი სრულყოფა სიმკვირცხლე, სიჩაუქე, სიჯანსაღე, სიქველე-მამაცობა, პირმშვენიერობა და ტანკენარობა, მხიარულება და დღეგრძელობა. რა მეტი გზა გვაქვს, უნდა ხმამაღლა ვაღიაროთ, დღეს გენეტიკური გადაგვარების წინაშე ვდგავართ.

ვერტიკალური ზონალობის ზუსტი გათვალისწინებით, ქართველებს, მთელი საცხოვრისი გამოწვლილვით ჰქონდათ ათვისებული, განსახლება და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგება უდიდესი ოსტატობით იყო შეხამებული ბუნების პირველქმნილობასთან. კარგად ორგანიზებულ სახელმწიფო მმართველობასთან კავშირში წესრიგს რწმენა-რელიგია ამყარებდა. სამყაროს (სკნელი, ქვესკნელი, ზესკნელი) და საკუთარი მიწა-წყლის სიმბიოზზე დამყარებული აგრარული კალენდარი სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა ციკლს აწესრიგებდა. საქმის დღეთა და უქმეთა მონაცვლეობა-შეთანწყობა, ქრისტიანულ კალენდართან შეხამებული სახალხო დღესასწაულები, მარხვები და ხსნილები, მთელი ერის, წლის დროთა თავისებურებების გათვალისწინებით, ნორმალურ კვებას უზრუნველყოფდა. საქართველოს ძველთაძველ დახვეწილ მეურნეობისა და უხვი ბუნების მეოხებით ყუათიანი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი, მრავალფეროვანი საკვები გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად ნაწილდებოდა. განსაკუთრებული კულტურული მიღწევაა, რომ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქართველმა ხალხმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საჭმელ-სასმელი შექმნა, როგორც ყოველდღიური სანიადაგო კვებისათვის, ისე სალხინო-სადღესასწაულო თუ საწესო-სარიტუალო სუფრებისათვის.

რაოდენ დასანანია, რომ ეს მიღწევა შემეცნებითად გაცნობიერებული არ გვაქვს. მეტ-ნაკლებად ვაფასებთ ქართულ ხელოვნებას, ძეგლებს და ა. შ., ხოლო რით ნასაზრდოებმა ხალხმა შექმნა ისინი, არც გვაგონდება... სამწუხაროდ, საგაზეთო წერილის შეზღუდულობა საშუალებას არ იძლევა მსჯელობა ფართოდ გავშალოთ. მიუხედავად ამისა, ვიტყვით, რომ მთელი ეს სიმდიდრე, რასაც ქართული კვების რაციონი ჰქვია, ყოფიდან ამოვარდნილია, საყოველთაო დეფიციტის პირობებში კი ეს დამღუპველია...

შექმნილ ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს ქართველთა კვებისა და სუფრის ტრადიციულ კულტურაზე მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემები დარჩა. რადგანაც ამ დარგში სულმნათი ივანესეული ფუძემდებლური ნაშრომი არ არსებობდა, ჯერჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა და მთელი ამ მრავალათასწლოვან ცოდნა-გამოცდილებას დაღუპვა ემუქრება — მეტადრე ქართული ეთნოგრაფია — ამჟამად მთლიანად პარალიზებულია. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი სრული განუკითხაობა სუფევს. ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ 20-იანი წლებიდან ქართული მართმადიდებლობა ყოფას მოწყვიტეს და ქართველთა ცხოვრების წესი, კვების რაციონთან ერთად მთლიანად მოიშალა. მოიშალა და მიწასთან გასწორდა ტრადიციული მეურნეობაც, რის შედეგადაც ქართველი ხალხი მარჩენალ მიწას, მამა-პაპურ კეთილშობილურ საქმიანობას მოწყდა. აქედან გამომდინარე, იმძლავრა ავაზაკობამ, მკრეხელობამ და სოდომმა. შედეგი უმძიმესია — უმდიდრესი მიწა-წყლის პატრონი ქართველი ხალხი პრაქტიკულად შიმშილობს და სხვისი ხელის შემყურეა. საბაზრო ეკონომიკას ამოფარებული სპეკულაცია და შავი ბიზნესი მოსახლეობას უკანასკნელ საარსებო სახსარს ართმევს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა ხალხის კვების რაციონის სრულყოფაზე ვიმსჯელოთ, მაგრამ აუცილებელია არსებული მდგომარეობა გავაანალიზოთ და დილემიდან გამოსავალი როგორმე გამოვნახოთ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე „საზკვება" უწესოდ ფულის კეთების ასპარეზს წარმოადგენდა და იქ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული „კაი ყმები" ჯიბეს ისქელებდნენ. მიუხედავად ამისა, კარგი საქმეც კეთდებოდა, ქართულმა ეროვნულმა სამზარეულომ უცხოეთშიც მაინც გაითქვა სახელი... ახლა საზღვრების გახსნასთან დაკავშირებით, ამ შემონახულ სიმდიდრეს განიავების საფრთხე ემუქრება. მითუმეტეს, სახელმწიფოებრივ დონეზე ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული საზღვარგარეთ ქართული სამზარეულოს გასვლა და უნდა ვაღიაროთ ამ საჭირო სფეროში სრული განუკითხაობა სუფევს.

დავასახელებთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

როდესაც ორგანიზაციულ საკითხებზე ვამახვილებთ ყურადღებას, მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი კვების დარგს მკვეთრად გამოხატული სპეციფიკა აქვს; ის გულისხმობს წარმოებასა და მოხმარებასაც, ვაჭრობის სისტემა კი აგებულია საქონლის რეალიზაციაზე, ხოლო წარმოება მისი საქმე არ არის. აქედან გამომდინარე, ვაჭრობას დაქვემდებარებული ან მასთან შეერთებული საზკვება, ნებისმიერ სტრუქტურულ დონეზე, სადაც წამყვანია წარმოება, ორივე მხარისათვის გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. თუ აქამდე ყოველივე ეს მეტ-ნაკლებად მისათმენი იყო, დამოუკიდებელ საქართველოს ტრადიციულ სისტემებზე დამყარებული თანამედროვე საზკვების ინდუსტრია უნდა ჰქონდეს, რაც თავისთავად ამ დარგის დამოუკიდებლად განვითარებას გულისხმობს. ბუნებრივია ამ მნიშვნელოვან საკითხზე ცალკე მსჯელობაა საჭირო და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

კადრების მომზადებაზე როცა ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ერთადერთი პროფესიული სასწავლებელი ჰქონდა, რომელიც ამზადებდა მასიური პროფესიის ეროვნულ კადრებს, 50 წლის არსებობის იუბილეს გადახდის ნაცვლად იგი, სრული დატვირთვის მუშაობის პერიოდში, გადაკეთდა საკურსო კომბინატად და ფაქტიურად გაუქმდა (1987 წ.), მარტო საელჩოებისათვის საჭირო ტრაპეზის ქართველ ოსტატთა მოსამზადებლად უნდა აღდგეს იგი.

საზკვების ობიექტების „ევროპიზაციამ" ეროვნულ ჩრდილში მოაქცია, ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი კაფე-რესტორნებისა და ბარების გვერდით, დღეს მაინც უნდა გაეხსნას გზა. ეროვნულ ხუროთმოძღვრულ სტილზე აგებულ, ავეჯით და ჭურჭლით მოწყობილ საზკვების შენობებს, სადაც სტუმრებს ქართული კერძებით გაუმასპინძლდებიან, საქართველოს თითოეული კუთხის თავისებურებათა გათვალისწინებით. ბუნებრივია, მომსახურე პერსონალს ქართული ტანსაცმელი უნდა ეცვას, რა თქმა უნდა აქაც არ გვაწყენდა კუთხეთა სპეციფიკის გათვალისწინება. ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს ადრეც არ ხორციელდებოდა, იყო ამის ცდები, ზოგჯერ წარმატებულიც, მაგრამ უფრო პირად თაოსნობაზე დამყარებული. დღეს კი აუცილებელია ამ საქმეში მყარი მეცნიერული საფუძვლების შექმნა, სახელდობრ, ქართული ეთნოგრაფიის სრულად გამოყენება. თუ აქამდე მეცნიერებთან კავშირს არასისტემატიური ხასიათი ჰქონდა, ამჯერად საზოგადოებრივ კვებას და მეცნიერებას ჯანსაღ კომერციულ ურთიერთობაზე დაფუძნებული საქმიანი კავშირები უნდა ჰქონდეს. ეს ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება და სახელმწიფოსათვისაც გარანტირებული შემოსავლის წყარო გახდება. სხვანაირად ჩვენთან ტურიზმის ნამდვილი ინდუსტრია ფეხს ვერ მოიკიდებს.

საზოგადოებრივი კვების მუშაკის პროფესია რომ კვლავ პრესტიჟული გახდეს, როგორმე უნდა აღვადგინოთ საოჯახო აღზრდის ძველი ტრადიციები და ის პროფესიონალიზმი რაც შთამომავლობას თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თუ ახლა არ ვუპატრონეთ ამ საშვილიშვილო საქმეს, ხვალ გვიან იქნება.

წამახალისებელ ღონისძიებათა შორის ქართულ სამზარეულოს ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს უცხოეთშიც, რაზედაც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. აღარას ვამბობთ მოსალოდნელ მოგებაზე, ქართული სამზარეულო მათთვის ხომ „დღეგრძელთა ქვეყნის" მცხოვრებთა დღეგრძელობის საიდუმლოდაა მიჩნეული და ეს ინტერესი გურმანთა ვიწრო ცნობისმოყვარეობას სცილდება.

და ბოლოს, ეროვნული სიმბოლიკით, სუვერენული გაფორმების, ჩვენთვის იაფი და ხელმისაწვდომი თიხისა და ხის მასალისაგან მომზადებული ჭურჭლით, ავეჯით და სხვადასხვა რეკვიზიტებით უნდა შეივსოს საზკვების საწარმოები. თუ ამ ჭურჭელს შეუზღუდავი ოდენობით დავამზადებინებთ ამ საქმის შთამომავლობით ოსტატებს, როგორც თვით წარმოების აღჭურვისა და გადაიარაღებისათვის, ისე ტურისტთა და ყოველდღიურ მომხმარებელზე სარეალიზაციოდ. ყოფითი ხასიათის რეკვიზიტების დამზადებას თუ გამოყენებას, მეცნიერული საფუძვლები უნდა ჰქონდეს, ამ მხრივ ეთნოგრაფთა მეცნიერული შესაძლებლობები ფასდაუდებელი იქნება დარგისათვის.

ეროვნულ საწარმოთა მუშაობისა და სახის მთლიანი შემობრუნება რომ მოხდეს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების და უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზრდა კადრებით უნდა შეიცვალონ „ჩვენი თვალუწვდენელი (ყოფილი) სამშობლოს" თითქმის ყველა კუთხიდან დაუბრკოლებლად ჩამოსული თუ ჩამოყვანილი პირები, რომელთაც არც ძალუძთ და მაინცდამაინც არც უნდათ ქართული თვითმყოფადობის და ეროვნულობის შენარჩუნება.

ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან საზკვებაში მიზიდვის პრაქტიკამ თავის დროზე გაამართლა, უნარიანი და ამ საქმის მოყვარული ახალგაზრდა ბევრია.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მოწინავე ქვეყნების მსგავსად ჩვენთანაც დამკვიდრდება „საქმიანი თამაშის" პრაქტიკა, მაშინ თითოეულ „რიგითს" ყოველთვის ექნება იმედი, რომ ისიც ოდესმე მაინც იქნება დირექტორი თუ წარმოების უფროსი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა, დავასკვნათ:

სახელმწიფოებრივ უფლებებში აღდგენილმა ქართულმა ქრისტიანობამ, შესაბამის საერო და სამეცნიერო უწყებებთან მჭიდრო კავშირში უნდა შესძლოს მარხვისა და ხსნილის ყოფაში საყოველთაოდ დანერგვა, ბუნებრივია, სათანადო ახსნა-განმარტების და დარწმუნების მეთოდით.

ეს რომ პრაქტიკულად განხორციელდეს, რა თქმა უნდა, მაღაზიებსა და ბაზრებში მარხვისა და ხსნილის გათვალისწინებით სურსათი ხელმისაწვდომ ფასებში უნდა იყიდებოდეს.

აქედან გამომდინარე, მთავრობამ ამჯერად საბარათო სისტემის შემოღებით მაინც უნდა უზრუნველყოს მარხვასა და ხსნილზე მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც მომარაგების საქმეს მნიშვნელოვნად გააადვილებს და გააიაფებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ, როგორც საზოგადოებრივმა, ისე კერძო სექტორმა, ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს, მეცნიერების თანამედროვე მიღწევები გამოიყენოს და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მოყვანას დაუბრუნდეს. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდება თუ მამულის აღორძინების საზოგადოების მიერ შემუშავებული სოფლის სტატუსი დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარდება და მიწათმოქმედი საკუთარი თავისა და კუთვნილი მამულის ბატონ-პატრონი გახდება.

ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დადგეს დრო ზემოდან ჭკუის სწავლების ნაცვლად, მწარმოებელს ხელ-ფეხი გავუხსნათ, სრული თავისუფლება მივანიჭოთ და სადაც გაუჭირდება იქ დავეხმაროთ, მეტადრე თუ ამ დახმარებისათვის მოგვმართავს.

რაც შეეხება საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციას, ეს საქმე მყარად უნდა დადგეს მეცნიერულ ნიადაგზე. აქ ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს პრიმიტიული მიდგომა და შავი ბიზნესი. გზა გავუხსნათ სპეციალისტებს და ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებებს.

თბილისში, ვაკის პარკის მიდამო, ღია ცის ქვეშ მუზეუმი და მისი შემოგარენი, რიყე, და აღდგენილი „ძველი თბილისი" გამოცხადდეს ეროვნულ ფასეულობათა და რელიკვიათა ზონად, სადაც მოეწყობა ქართული ხალხური სამზარეულოს, ეროვნული ტანსაცმლის, ხელსაწყოების, გამოყენებითი ხელოვნებისა და მხატვრული რეწვის კერები, იქვე წარმატებით იმოქმედებს ქართული სამზარეულოს მუზეუმი, რომელიც უცხოელ ტურისტთა მარშრუტში იქნება ჩართული და გახდება ვალუტის წყარო.

ყოველივე ამისათვის მეცნიერული საფუძვლები შექმნილია, კადრები მომზადებულია, საჭიროა მხოლოდ მცირეოდენი კაპიტალი და მთავრობის თანადგომა, მხარდაჭერა.

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის გასვლის ტემპს, აქ დაყოვნება აღარ ეგების და ვისაც ხელეწიფება, მხარი მხარს უნდა მისცეს, რადგან საქართველომ სტუმრის მასპინძლობაც შეძლოს და საკუთარი თავისიც.

მინაწერი:

ავტორებმა, ცნობილმა ეთნოგრაფმა ლევან ფრუიძემ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დაუღალავად იკვლევს ერის საყოფაცხოვრებო, საკულტო და სხვა რეალიებს და ქართული სამზარეულოს ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა შალვა ლობჟანიძემ, რომლის მსგავსი მცოდნე ქართული ეროვნული კერძების დამზადებისა ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი დაგვრჩა, ეს წერილი მე მომიტანეს და მხარდამჭერის მიზნით ხელისმოწერა მთხოვეს. ჯერ ერთი იმის გამო, რომ სხვის მიერ დაწერილ ტექსტზე ხელი არასოდეს მომიწერია და მეორე კი იმისთვის, რომ წერილში აღძრულ პრობლემებისადმი ძალზე შორეული დამოკიდებულება მაქვს, ხელის მოწერაზე უარი ვთქვი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ წამოჭრილ საკითხებს მნიშვნელოვნად არ ვთვლიდე და მათით რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების ცხოველი დაინტერესება გადაუდებელ საჭიროებად არ მიმაჩნდეს.

მჯერა, რომ პუბლიკაცია ღრმა დაინტერესებას პოვებს სპეციალისტებსა და ხელმძღვანელ ორგანოებს შორის და მათი გაერთიანებული ძალისხმევით კიდევ ერთი დიდი ეროვნული საქმე გაკეთდება.

რევაზ ჯაფარიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ემზადებიან შეტევისათვის

● **ავღანეთის** მთავრობის ჯარები ემზადებიან ფართომასშტაბის ოპერაციისათვის გულბედინ ჰექმათიარის ძალების წინააღმდეგ. ამ მიზნით, ქაბულში უკვე ჩავიდა ჯარისკაცთა ახალი რაზმები. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ავღანეთის მთავრობამ გადაწყვიტა, არ დათანხმდეს ცეცხლის დროებით შეწყვეტას და გაანადგუროს ჰექმათიარი პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. ამასობაში კი, ჰექმათიარის რაზმები კვლავ უშენენ რაკეტებს ქაბულს, აიძულებენ ათასობით მცხოვრებს, დატოვონ ქალაქი.

მოლაპარაკება ალმა-ათაში

● **ალმა-ათაში** ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი შეხვდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ დუბინინს. დაიწყო მოლაპარაკება ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე. განიხილავენ სტრატეგიული ბირთვული ძალების საკითხს, (რომლებიც განლაგებულია ყაზახეთის ტერიტორიაზე), პოლიგონების გამოყენებისა და სხვა პრობლემებს. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ თავდაცვის სამინისტროს, ზოგიერთი სამოქალაქო სამინისტროს წარმომადგენლები და პარლამენტის დეპუტატები.

ითხოვენ გაეროს სპეციალურ სესიას

● **გაეროს** მუსლიმანური ქვეყნების ჯგუფმა ითხოვა მოიწვიონ გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შექმნილი ვითარების საკითხზე. სპეციალური სესიის მოსაწვევად, საჭიროა წევრთა უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერა. შესაძლოა, სპეციალური სესია უკვე ამ კვირაში გაიმართოს.

მესამე საერთაშორისო კონფერენციის წინ

● **იაპონიის** მთავრობა აპირებს უახლოეს ხანს დაიწყოს ამერიკის ადმინისტრაციასთან ერთობლივი კვლევა ჰუმანიტარულ, კერძოდ, სასურსათო და სამედიცინო დახმარებაზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოთხოვნათა განსაზღვრისათვის. ამ მიზნით, რუსეთსა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში შესაძლოა უკვე აგვისტოში გაიგზავნოს მკვლევართა ჯგუფი. მან ადგილზე უნდა შეისწავლოს სასურსათო და სამედიცინო მომარაგებასთან დაკავშირებული სიტუაცია. ტოკიოში ოქტომბრის დამლევს გაიმართება ყოფილი სსრ კავშირისათვის დახმარების პრობლემებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენცია.

ვიზიტად რუმინეთში

● **რუმინეთს** ერთდღიან ვიზიტად ეწვევა მოლდოვეთის პრემიერ-მინისტრი ანდრეი სანგელი, და მასთან ერთად, თითქმის ყველა საფინანსო-ეკონომიკური სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელები, აგრეთვე თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. მოელიან, რომ ხელს მოაწერენ მთელ რიგ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

მოსახლეობის მოთხოვნით

● **რუსეთის** რადიოს ცნობით, ლატვიის მთავრობამ მოსახლეობის მოთხოვნით შეაჩერა თავისი დადგენილების მოქმედება, რომელიც კრძალავდა რესპუბლიკაში რუსეთის მცხოვრებთა თავისუფალ ჩამოსვლას, უვიზოდ.

თითო აბზაცით

● **ორშაბათს** ჰიუსტონში რესპუბლიკური პარტიის ყრილობის დელეგატებმა ხმების უმრავლესობით, მოიწონეს პარტიის პლატფორმის პროექტი, რომლითაც პრეზიდენტი ბუში მიიღებს მონაწილეობას ნოემბრის არჩევნებში. პროგრამის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში უმაღლესი შეფასება მიეცა თეთრი სახლის მოღვაწეობას. ამასთანავე ნათქვამია, რომ „ახალი მსოფლიო აღსავსეა გაურკვევლობით".

● **პაკისტანის** თავდაცვის მინისტრმა საიედ ღაუს ალი შახმა გამორიცხა ქაშმირის პრობლემის სამხედრო გადაწყვეტა. მან თქვა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მხარს უჭერს სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას.

● **აშშ** პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: „თუ ერაყის პრეზიდენტს ჰუსეინს ჰგონია, რომ მე ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას, დავარტყა ერაყს, პრეზიდენტის არჩევნების წელს, ის კვლავ დიდად ცდება. მე ამას გავაკეთებ და ამერიკელი ხალხი მხარს დამიჭერს".

● **აშშ** საქმიანი წრეების გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი" წერს, რომ „ამერიკის დიდი ბიზნესის სამყაროს" ბუში ურჩევნია, ვინაიდან არ უყვარს გაურკვევლობა. ამასთანავე, დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკების პოლიტიკა, უფრო მეტად შეესაბამება მათ ინტერესებს.

საქმემ გამოარჩინა

გარჯის სიყვარული და ქველმოქმედება

რამდენიმე შტრიხი ერთი საწარმოს კოლექტივისა და მისი თავკაცის პორტრეტისათვის

ხონში არცთუ იშვიათად იტყვიან ხოლმე, წარმოების ხელმძღვანელად სწორედ ისეთი კაცი უნდა ინატრო და ისურვო, როგორიც ჩაის კომბინატ „იმერეთის" დირექტორი როლანდ შოვნაძეაო. ეს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულიც კი მეჩვენა, ვიდრე თავად არ ვესტუმრე საწარმოს და არ ვესაუბრე იქაურ მშრომელებს, თავად ბატონ როლანდს.

ეს საწარმო 1982 წლის აგვისტოში შეიქმნა მეთუთეობის სასელექციო სადგურის ბაზაზე. მაშინ კომბინატის ამჟამინდელ ადგილსამყოფელზე უბადრუკი შენობები და გარშემო თითქმის ტრიალი მინდორი იყო. ამ ათი წლის წინათ, როდესაც ხონში ჩაის საწონი ფაბრიკის მშენებლობის საკითხი დაისვა, რაიონის ხელმძღვანელობამ ბევრს შესთავაზა სათავეში ჩასდგომოდა ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ყველამ თავიდან აიცილა ეს რთული და პასუხსაგები დავალება. თავდაპირველად როლანდ შოვნაძემაც ცოტა იჭოჭმანა, მაგრამ მერე მისთვის ჩვეული ენერგიულობითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდა საქმეს ხელი და ბოლომდეც მიიყვანა.

— ჩემი უშუალო მონაწილეობით აშენებული და გალამაზებული კომბინატი უდიდეს სიხარულს მანიჭებს. ამ დიდ გრძნობას კი, ალბათ, მოკლებული ვიქნებოდი, სხვის მიერ გალიერებულ საწარმოში რომ მივსულიყავი ხელმძღვანელადო, ამბობს ბატონი როლანდი. საწარმოს შექმნა-წინსვლისთვის მართლაც არაფერი დამიშურებია, მაგრამ აქაური საოცრად კარგი კოლექტივი რომ არა, ვერაფერს გავაკეთებდი, იშვიათია ისეთი ერთსულოვნება და ურთიერთპატივისცემა, ჩვენთან რომ იგრძნობაო, დასძენს.

კოლექტივის წევრებთან გასაუბრებისას ამ შეფასების სისწორეში თავადაც დავრწმუნდი. ვირწმუნე ისიც, რომ ეს უწინარესად სწორედ საწარმოს მშრომელთა თავკაცის დამსახურებაა.

ეს ადამიანი თითქოს სასიკეთო საქმეთა კეთებისთვის, ქველმოქმედებისთვის გაუჩენია ღმერთს, და როგორ შეიძლება მას უღალატოო, მითხრეს საწარმოში, და იქვე დასძინეს: თანაც, მარტო ჩვენთვის კი არა ზრუნავს, შეძლებისდაგვარად ცდილობს ყველა გაჭირვებულს გაუმართოს ხელი.

ამაშიც თავად დავრწმუნდი, როცა საწარმოს მთავარმა ბუღალტერმა ბატონმა ვალოდია ჩარქსელიანმა მაჩვენა კომბინატის სახსრებიდან ფულადი დახმარების გაწევის მიზნით გადარიცხვების ამსახველი დოკუმენტები. ფულადი გადარიცხვები ძირითადად საზღვარგარეთ სამკურნალო ინვალიდ ბავშვთა ანგარიშზე იყო ნაჩვენები. არც ხელმოკლე ოჯახები და მრავალშვილიანი დედები გამორჩენიათ. ეროვნულ გვარდიასაც დახმარებიან, მიწისძვრით დაზარალებული ადამიანებისა და სამაჩაბლოელი ლტოლვილებისთვისაც გაუწვდიათ დახმარების ხელი...

ორი წლის წინათ კომბინატს თავისი მუშა-მოსამსახურეებისთვის საკუთარი სახსრებით აუშენებია 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

— ღმერთმა დალოცოს ბატონი როლანდი თავისი ოჯახითურთ, იმ სახლში მისი კუთვნილი სამოთახიანი ბინა მე დამითმო, როგორც ორი შვილის დედას, — მეუბნება ნინო ყურაშვილი. როგორ შეიძლება ასეთ თბილ ხელმძღვანელს პატივი არ ვცე და არ დავაფასო. განა მარტო მე, კოლექტივის თითოეული წევრიც მისი დიდი მადლობელია და ყველაფერსაც აკეთებს საერთო საქმის წარმატებისთვისო.

სწორედ ასეთი ერთსულოვნების წყალობითაც შეძლო კომბინატის კოლექტივმა ურთულეს პირობებშიც კი არ ჩაეგდო საქმე. თუმცა დეკემბერ-იანვრის ამბებმა 3-4 თვით პრაქტიკულად გააჩერა საწარმო, მისმა მშრომელებმა მაინც შეძლეს ჩამორჩენის დაძლევა და მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოსვლა. მუშათა სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სამეგრელოში სიტუაციის გართულებამაც. როგორც ბატონმა როლანდმა თქვა, კომბინატსა და ზუგდიდის პარტნიორ საწარმოთა შორის წინანდელი აქტიური სამეურნეო ურთიერთობა საგრძნობლად შესუსტდა, რაც საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ცუდად მოქმედებს.

და ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, კომბინატი მაინც ახერხებს ყოველთვიურად 200 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის გადამუშავებას, მოგებაც აქვს, რამაც საშუალება მისცა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 2000-2500 მანეთამდე გაეზარდა. გარდა ამისა, მათ ყოველკვარტალურად ეძლევათ გამომუშავების 50 პროცენტი, მრავალშვილიან დედებს კი დამატებით 300-400 მანეთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში არ ჩატარდება რაიმე სასიკეთო ღონისძიება, კომბინატმა მონაწილეობა რომ არ მიიღოს და ქველმოქმედის კეთილი ხელი არ გაუწოდოს ყველას.

ნათქვამია, დიდ ქარავანს დიდი ჭიშკარიც სჭირდებაო. კომბინატის ხელმძღვანელობაც ისწრაფვის, იმ დიდ ამოცანებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამჟამინდელი ეტაპი რომ აყენებს აქაური კოლექტივის წინაშე, დღევანდელობის მოთხოვნათა შესაფერისი სამოქმედო პროგრამაც შეუქმნას. საამისოდ ცდილობს გააფართოოს პირდაპირი კავშირები და კონტაქტები. ურთიერთობა აქვთ რუსეთისა და შუა აზიის ქალაქებთან. იმზება ეკონომიკური კავშირები გერმანიის ფირმებთან და კონცერნებთან. მართალია, ეს საკითხები ჯერჯერობით ახალი წამოწყებულია, მაგრამ არის ურთიერთობის განმტკიცების კარგი პერსპექტივა.

— საზღვარგარეთის ფირმებთან და საწარმოებთან ჩვენი კავშირის განმტკიცებას, მჯერა, საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩაის ხარისხის გაუმჯობესება, ურომლისოდაც მეტად გაძვირდება პროდუქციის რეალიზაცია, — ამბობს ბატონი როლანდი. საამისოდ თადარიგი დაჭერილი გვაქვს. რაც მალე დამყარდება სრული წესრიგი და სტაბილიზაცია საქართველოში, რისი დიდი იმედიც გვაქვს, მით უფრო მალე გავიმართებით წელში. მთავარია, მშვიდობა იყოს, თორემ პრობლემები უთუოდ დაიძლევა, დარწმუნებით დასძენს ბოლოს.

ღმერთმა გისმინოთ და აგიხდინოთ ნატვრა, ბატონო როლანდ! დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ ახალ წარმატებებსა და სიხარულს გისურვებთ თქვენც და თქვენს ერთსულოვან, შრომისმოყვარე კოლექტივსაც.

დარეჯან ლიპარტელიანი.

ეს ჩვენი საქართველოა!

მცხეთაში. სარტაკ წურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფერისცვალება

მერი გაბრიაძე

19 აგვისტოს ქრისტიანული სამყარო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ფერისცვალებას უფლისა ღვთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს დღე დიდი დღესასწაულია.

იესო ქრისტეს ცხოვრება მოგვითხრობს, რომ იესო უამრავ სნეულსა და გაჭირვებულს აკურთხებდა და კურნავდა. ხალხის უმრავლესობას სურდა, რომ მაცხოვარი მიწიერ მეფედ ეღიარებინათ. თვითონ კი იმას განერიდა და თავის მოწაფეებთან ერთად, გალილეიდან ფილიპეს კესარიის მხარეში გადავიდა. ერთხელ იესომ თავის მოწაფეებს ჰკითხა, ვინ ვგონივარ მე ხალხსო. „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“ — უპასუხა პეტრემ. ღვთითმოვლენილმა მესიამ, მხსნელმა იესომ წინასწარ აუწყა თავის მოწაფეებს, თუ რა ელოდა მას იერუსალიმში.

მღვდელთმთავრები და ფარისევლები ისე გაამძვინვარა იესოს არნახულმა აღიარებამ, რომ მისი დაღუპვა გადაწყვიტეს. მაცხოვარმა იხმო თავისი მოწაფეები — პეტრე, მისი ძმა იოანე და იაკობი და მათ მაღალ მთაზე ასვლა შესთავაზა. დიდხანს ადიოდნენ ისინი თაბორის მთაზე. როცა მთის წვერს მიაღწიეს, იესო სალოცავად განზე გადგა, მოწაფეებს კი მალე ჩაეძინათ, რადგან მათი ადამიანური ბუნება იმას ვერ შეიგრძნობდა, რაც მაცხოვარს შეეძლო. ცოტა ხანში გაღვიძებულმა მოწაფეებმა უმშვენიერესი სურათი იხილეს — ეს იყო იესოს ფერისცვალება, რომლის სახე მზესავით ბრწყინავდა, სამოსელი კი თოვლივით ქათქათებდა. ორი ღვთაებრივი ადამიანი — წინასწარმეტყველები მოსე და ელია იესოს აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ და მაცხოვრის მომავალ ვნებაზე საუბრობდნენ. შემდეგ ნათელი ღრუბელი გადმოვიდა ციდან და იქიდან გაისმა ხმა უფლისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ: მაგისი ისმინეთ“.

მეორე დილით, მთიდან დაშვებისას, იესომ თავის მოწაფეებს სთხოვა, რომ არავისთვის მოეთხროთ წუხანდელ გამოცხადებაზე, ვიდრე მკვდრეთით არ აღვდგებიო. ფერისცვალების შემდეგ მოწაფეებს არ უნდოდათ დაჯერება, რომ იესო უნდა მომკვდარიყო, ისინი შეცბუნებული უსმენდნენ მოძღვარს მისი მომავალი აღდგომის შესახებ.

ფერისცვალება — ათორმეტთაგან უძრავი უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია. ამ დღეს, იკურთხება ახალი ხილი, რომელიც ახლობლებს ნათესავთა საფლავზე მიაქვთ. საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინება ამ დღესასწაულთან დაკავშირებული საზეიმო წირვა-ლოცვა. მოძღვარნიცა და მრევლიც შეავედრებენ უფალს თავიანთ ოჯახებს, სამშობლოს, რომელსაც ახლა მძიმე დღეები უდგას, მაგრამ ღვთის შეწევნით მალე ყველაფერი მოგვარდება.

ამ უდიდესი დღესასწაულის დღეს უპრიანია, გავიხსენოთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლეს ერთი ადგილი: „შევთხოვოთ უფალს, იესო ქრისტეს, მოამზადოს ჩვენი გულები სულიერი ფერისცვალებისათვის, მოგვცეს მადლი სიმდაბლისა და მორჩილებისა, ცოდვათა მიტევებისა და მადლი სიყვარულისა და მშვიდობისა, სული ერთობისა, რათა ვიყოთ ღვთის ნების აღმსრულებელნი, ძედ მისად ვიწოდოთ და ურცხვენელად ვთქვათ: „მამაო ჩვენო... იყავნ ნებაი შენი“...

გვფარავდეთ უფლისა მადლი. ვიზრუნოთ განწმენდისთვის. შინაგანი ფერისცვალებისთვის. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს სრულიად საქართველო და ქართველი ერი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გაზის ქირამ მოიმატა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული და ეს ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში იჩენს თავს. ახლა გაზით მომარაგების საქმეშიც. კარგად გვახსოვს ის გასაჭირი, ამ ზამთარს რომ დაგვატყდა თავს. გაზის უქონლობის გამო გაწვალდა ხალხი, დიდად იზარალა რესპუბლიკის მრეწველობამ.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან მომხმარებელთათვის გაზის ახალი ფასებია შემოღებული. ამის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილებაც მიიღო. აღნიშნული საკითხის განმარტება ვთხოვეთ „თბილგაზის“ ტრესტის მთავარ ინჟინერს მერაბ გელაძეს. მან თქვა, რომ ვინაიდან მომწოდებელმა, იგულისხმება (თურქმენეთის რესპუბლიკა) მნიშვნელოვნად გააძვირა გაზი, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ჩვენთანაც მოემატებინა მისი სარეალიზაციო ფასი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ ხელმძღვანელობამ იმსჯელა და კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი მოსახლეობისათვის 50 კაპიკად შეაფასა.

დანარჩენი მომხმარებლისათვის (მრეწველობა, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, კოოპერატივები, ფირმები, ასოციაციები) კი ეს თანხა 2 მანეთსა და 45 კაპიკს შეადგენს. ასეთივე გადასახადია დაწესებული პირად მფლობელობაში არსებული სათბურებისთვის.

ამჟამად მოსახლეობაშიც და მრეწველობაშიც დიდი ინტერესია ფასების მიმართ. დაწესებული ტარიფებისა და არსებული ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულია, რომ ერთ სულ მოსახლეზე თვეში იხარჯება 13 კუბური მეტრი გაზი (ვთქვათ საჭმლის მოსამზადებლად გაზის ქურაზე სახლში). აქედან გამომდინარე, გადასახადი ერთ სულზე შეადგენს 6 მანეთსა და 50 კაპიკს, ხოლო კერძო სახლებში წყალგამაცხელებელ აპარატზე ან ბოილერის გამოყენებაზე იხარჯება 30 კუბური მეტრი გაზი და შესაბამისად ერთ სულზე გადასახადი 15 მანეთს შეადგენს. კერძო ბინის გათბობისთვის ყველა სახეობის გამთბობ ხელსაწყოებზე, ბუხრების გარდა, ერთ კვ. მეტრ გასათბობ ფართობზე იხარჯება 12 კუბური მეტრი და შესაბამისად გადასახადიც ერთ კვადრატულ მეტრზე 6 მანეთია, ხოლო გაზის ბუხარზე და სხვა გამთბობ ხელსაწყოებზე თვეში იხარჯება 445 კუბური მეტრი და მისი ღირებულება 275,45 მანეთს შეადგენს. ზემოაღნიშნული გაანგარიშებები განსაზღვრულია ერთ თვეზე რესპუბლიკის მასშტაბით.

გაზის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის პირად მფლობელობაში არსებულ სათბურებზე. დააზუსტეს, რომ ერთი კვადრატული მეტრი ფართობის გასათბობად თვეში თურმე 30 კუბური მეტრი გაზი იხარჯება და შესაბამისად გადასახადიც 73 მანეთი და 50 კაპიკია. ამრიგად, 100 კვადრატული მეტრი ფართობის სათბურის გადასახადი თვეში 7350 მანეთს შეადგენს.

გარდა ამისა, გაზის ახალი ფასებიდან გამომდინარე, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დროულად უნდა უზრუნველყონ 1992 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მიწოდებული ბუნებრივი გაზის ფასთა სხვაობის დაფარვა, ხოლო მოსახლეობაში ეს სხვაობა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაიფარება.

როგორც იტყვიან, უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. ახლა თურქმენეთის რესპუბლიკა წინასწარ ითხოვს გაზის ღირებულების გადახდას. ამიტომ ეს მოთხოვნაც უნდა გავითვალისწინოთ. დადგინდა, რომ რესპუბლიკისთვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის რაოდენობის შეზღუდვისა ან შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წინასწარ, ერთი კვირით ადრე უნდა გადაიხადონ მომდევნო დღეებში მისაღები ბუნებრივი გაზის ღირებულება, თორემ შესაძლებელია გაზის მოწოდება შეგვიწყვიტონ.

ეს მოსახლეობამაც უნდა გაითვალისწინოს, გადასახადის დროულად დაფარვას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოსახლეობას შეიძლება დაებადოს კითხვა, თუ ვინ შეიმუშავა ზემოთ ჩამოთვლილი ფასები და რამდენად რეალურია იგი. ახალი ნორმების პროექტი სახელმწიფო კონცერნმა „საქგაზმა“ დაამუშავა და იგი საქართველოს სხვადასხვა რაიონში წარმოებული დაკვირვების შედეგებს ემყარება. იგი 1991 წლის 8 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს მინისტრთა საბჭომ.

გადასახადში შეღავათები ვრცელდება მეორე მსოფლიო ომში მონაწილეებზე, ინვალიდებსა და დაღუპულთა ოჯახებზე, ასევე პერსონალურ პენსიონერებსა და მათი ოჯახის წევრებზე. ისინი ნახევარ თანხას გადაიხდიან.

არსებული მდგომარეობა ვერაფერი სანუგეშოა, მაგრამ ამჟამად სხვა გამოსავალი არ არსებობს და პრობლემის რეალურად გადაწყვეტის გზებიც მხოლოდ ამგვარად გამოინახა.

ესაუბრა
ლალი ჩხეიძე

იგზავნება დახმარება

ქუთაისი. აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების ექომ შესაბამისი კორექტივები შეიტანა მიმდებარე რაიონების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

18 აგვისტოს სურსათით დატვირთული კიდევ ხუთი დიდი სატვირთო მანქანა გაემგზავრა სოხუმის მიმართულებით.

ამჯერად გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს ბოსტნეული, ხორცისა და რძის კონსერვები, თევზეული, ბურღული და სხვა პროდუქტები გაუგზავნეს ბაღდათელმა, ზესტაფონელმა, თერჯოლელმა და ქუთაისელმა მშრომელებმა.

საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში გროვდება ფული და სხვა სახის დახმარება.

ლაშარი

№ 4

გამოვიდა ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის ჟურნალი „ლაშარი“ № 4. ჟურნალი იხსნება ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ფრაგმენტით „სადღეისო წერილი მეგობართან“. ვაჟას დაბადების 130-ე წლისთავს იძღვნება ცნობილი მწერლებისა და ლიტერატორების ლია სტურუას, ზურაბ კიკნაძის და თამაზ ნატროშვილის სტატიები.

ძირითადი რუბრიკით — „პოეზია და პროზა“ ჟურნალი გვთავაზობს მორის ფოცხიშვილის ლექსებს, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ გაგრძელებას, გივი მაღულარიას და ილია რურუას მოთხრობებს.

„ახალი თარგმანების“ განყოფილებაში დაბეჭდილია შტეფან ცვაიგის „კაზანოვა“ (გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა), და ალექსანდრ ბლოკის, სერგეი ესენინისა და ბორის პასტერნაკის ლექსები (მთარგმნელი — ლაშა გიორგაძე).

ჟურნალი აქვეყნებს გურამ გურამიშვილის კრიტიკულ წერილს „ფირეულების ოჯახის საგა“, რომელშიც გაანალიზებულია ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის სტეფანე კასრაძის რომანი „არიარალე!“, ანა მხეიძის მოთხრობებზე გვესაუბრება ინგა ფალიანი წერილში „საფეხური“.

ჟურნალ „ლაშარის“ მომდევნო ნომრებს მკითხველი მალე მიიღებს.

მეტროში თბილისური ჟეტონით

23 აგვისტოდან ჩვენი დედაქალაქის მეტროპოლიტენში მგზავრობისთვის ხმარებაში შევა თბილისური ჟეტონები. ამ დღიდან მეტროს ყველა სადგურის სალაროში, ნაცვლად მოსკოვურისა, თბილისური ჟეტონები გაიყიდება.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამ ფაქტს განმარტავს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი გურამ გაბუნია.

— როგორც იცით, მოსკოვური ჟეტონები, ვიდრე ჩვენსას დავამზადებდით, დროებით იყო ხმარებაში. დღეს ყველა ქალაქი, სადაც ეს ტრანსპორტი არსებობს, სამგზავრო ღირებულების გადასახდის ამ ფორმას იყენებს და ტარიფსაც თავისას აწესებს. თბილისური ჟეტონები მოსკოვის ზარაფხანაში დამზადდა. მისი ზომები მოსკოვურისაგან საგრძნობლად განსხვავდება. მას ორივე მხარეს ქართული წარწერა „თბილისი“ და მეტროპოლიტენის საერთაშორისო ემბლემა — ლათინური ტ-ი ამშვენებს.

— **თბილისური ჟეტონის ხმარებაში შემოღებისთანავე მოსკოვური ძალას დაკარგავს?**

— არა. ამისთვის გარკვეული დრო იქნება საჭირო. ამიტომ პირველხანად ორივე ჟეტონი დარჩება ხმარებაში იმ განსხვავებით, რომ მოსკოვური სალაროებში უკვე აღარ გაიყიდება, მეტროს ავტომატურ გასასვლელებში კი მგზავრები ჟეტონებს შესაბამის წარწერებიან ჭრილებში ჩაუშვებენ (ავტომატურ გასასვლელებს ექნებათ შემდეგი წარწერები: „მოსკოვური ჟეტონი“, „თბილისური ჟეტონი“). რამდენიმე დღის შემდეგ, ვარაუდით — თვის ბოლოს, როცა გასასვლელების ავტომატური სალაროების დარეგულირება დამთავრდება, მეტროპოლიტენი მთლიანად თბილისურ ჟეტონებზე იმუშავებს.

— **თუ ამ ხნის მანძილზე ვინმემ ვერ მოასწრო მოსკოვური ჟეტონის „რეალიზაცია“?**

— 10 სექტემბრამდე მეტროპოლიტენის ყველა სადგურის სალაროებში მას ფულზე ან თბილისურ ჟეტონზე გადაუცვლიან.

— **ამ ახალ ღონისძიებასთან დაკავშირებით მგზავრობის საფასური ხომ არ მოიმატებს?**

— მგზავრობის ტარიფი უცვლელი დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ მეტროში თითოეული მგზავრის გადაყვანა სახელმწიფოს ერთი კი არა, სამი მანეთი უჯდება. განსხვავება სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება, ამიტომ, რაკი მეტროში მგზავრობა ძვირადღირებული „სიამოვნებაა“, პრობლემებზეც მინდა ვთქვა მოკლედ:

დღეს თბილისის მეტროპოლიტენის წილად საერთო სამგზავრო გადაზიდვებში მგზავრთა გადაყვანის 71 პროცენტი მოდის. ეს ყველაზე დიდი ხვედრითი წილია. ამიტომ ცხადი გახდება, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენი დარგის სამსახურს დედაქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაში. პრობლემები, გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვი, გასაკვეცია. მოშლილი ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში მოიშალა ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ძნელი ხდება ბევრი რამის აღდგენა, რასაც მეტროთი მგზავრობისას ასე დაუდევრად ექცევა ზოგიერთი თბილისელი მოქალაქე. ამტვრევენ ლამპიონებს, რომელიც დღეს თითქმის აღარ იშოვება, დანით სერავენ რბილ სავარძლებს, რომ არაფერი ვთქვათ ანტისანიტარიაზე. ამ საქმეში ისევ მოსახლეობა უნდა დაგვეხმაროს, დაიცვას მეტროში მგზავრობის წესები, მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნას მეტროპოლიტენის პერსონალს.

მაყვალა ინასარიძე

ტურისტული თუ სავაჭრო?

— **მიხედე** შენ თავსაც, როდემდე უნდა იყო ასე? — მიჩიჩინებდნენ მეგობრები.

და აი, „მივხედე“ ჩემს თავს: ნასესხები ასი დოლარი ფირმა „ლემს“ ჩავუდე და თურქეთ-სირიის გზას გავუდექი.

საქართველოს გზა მშვიდობით გავიარეთ. გვიშველა აზრამ — „პრესა-ტელევიზია“, რომელიც ჩვენს ავტობუსს ამშვენებდა.

პრესა თავისუფალია, პრესისთვის გზა ხსნილია, არ არსებობს დაბრკოლება, რომლის გადალახვაც ასეთ აზრას არ შეეძლოს, — ამ ფიქრით მივადექით სარფის ჭიშკარს, ალბათ, დღესვე გადავალთ საზღვარს.

მაგრამ, ნურას უკაცრავად!

სწორედ აქ შეგვხვდა პირველი დაბრკოლება, რომელმაც მგზავრობის განწყობა და გუნება გაგვიფუჭა.

— თქვენი დოკუმენტი ბათილია, უკან გაბრუნდით! — მკვახედ მოგვახალეს სამხედროებმა და საბაჟოს კარი მოგვიხურეს.

— ეს როგორ?

— როგორ და, დოკუმენტი გასწორეთ, ბეჭედი დაარტყით.

შევცბით. ფირმის წარმომადგენელი დაბეჯითებით გვარწმუნებდა:

— თქვენ არავითარი დაბრკოლება არ გექნებათ, დოკუმენტები სრულ წესრიგშიაო.

— სად გავასწოროთ, ვის მივმართოთ, ათასი კილომეტრი გვაშორებს მას, ვინც ეს „გაბათილებული“ საბუთი მოგვცა.

აი, ბედის დაცინვა თუ გინდა, ეს არის! ამხელა გზაზე უბეჭდო საბუთით გამოგვიშვეს.

შეწუხდა საბაჟოს ხელმძღვანელი დურსუნ მიქელაძე, კაცი აფრინა ბათუმში, მაგრამ გვიანი იყო და ბეჭდის დამრტყმელი იქ არავინ აღმოჩნდა.

თურმე ნუ იტყვით, წინ უფრო დიდი დაბრკოლება გველოდა.

მეორე დღეს, სანამ ბათუმიდან ბეჭედდარტყმულ საბუთს ამოიტანდნენ, ბატონმა დურსუნმა საგულდაგულოდ დაგვათვალიერებინა საბაჟო, კეთილმოუწყობელი ეზო და მისი ახალმშენებლობანი, გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რაც საბაჟოს აწუხებს. მთავარი კი ის არის, რომ გაუქმდა ე. წ. საკავშირო საბაჟოს წესდება, რესპუბლიკური კი ჯერ არ ჩანს. როგორ უნდა იმოქმედონ?

მოქმედებენ ყოველგვარი წესდების გარეშე. არადა, სარფის საბაჟოში დღეში 800-900 ათასი დოლარი შედის.

კონტროლი?

კონტროლი არ ჩანს!

სხვათა შორის, საბაჟოს ხელმძღვანელობამ გაგვაფრთხილა: ყველას ნუ ენდობით, მოდიან ზოგიერთები, გასვლაზე დახმარებას შეგთავაზებენ, ფულს დაგცინცლავენ, არ ენდოთო.

მართლაც, ბევრი დაძრწოდა ასეთი. ავი ენები ამბობდნენ, დიდ ფულსაც აკეთებენო.

ჩვენ კი, ჩვენდა თავად, უდიდეს მადლობას ვუხდით ბატონ დურსუნს, რომელმაც „უსაფრთხო“ მგზავრობას თავი დაგვაღწევინა და თურქეთში გაგვიშვა.

...როგორც იქნა, გადავკვეთეთ თურქეთი და სირიის საზღვარს მივადექით.

ალეპო — მსოფლიო ცივილიზაციის უძველესი ქალაქი. მაგრამ ვის სცალია უძველესი ქალაქისთვის. ის კი არა, თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის არავის მოუცლია! ქართული სოფლისთვის არავის ეცალა, ისევ ისინი მოდიოდნენ ჩვენთან. მოგვეკითხეს, გამოგვესაუბრნენ.

ანუ „ჟურნალისტები“ ქალაქში, სადაც მერსედესი სახედარს ვერ უსწრებს

ასე მოვიდა ჩვენთან ოთხი შვილის მამა ისმაილ მაჟახელი (სოფელ მაჟახელა გაგახსენდათ აჭარიდან, ალბათ!).

— აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში, — ნატრობს ისმაილი, — სხვებსაც უნდათ საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ეშინიათ, არეულობაა, თავისუფლება ხომ მიიღეთ, რაღდაა არეულობაო, — უკვირთ.

მართლაცდა, რად უნდა იყოს ასე?!

რად?

რად უნდა დავძრწოდეთ სხვა ქვეყნებში სავაჭროდ, სურსათისა და ტანსაცმლის შესაძენად? ნუთუ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. დავიცხროთ ვნებები, დავსხდეთ და ვაკეთოთ ჩვენი საქმე, მივხედოთ მიწას — ჩვენს მარჩენალს, ტყესა და წყალს, მთასა და ბარს, პირუტყვსა და, რაც მთავარია, ადამიანებს.

მაშინ ვინ გვაჯობებს. საქართველოს მარჯვით გავა უმაღლესი დონის საქონელი საზღვარგარეთ, და მერე აქეთ, ჩვენთან შემოვა სურსათისა და საქონლის მაძიებელი ხალხი.

ეს ყოველივე იქნება, თუ თავადვე მოვწესრიგდებით, ხელს გავანძრევთ, მიტინგებისა და ძარცვა-გლეჯის ნაცვლად შრომას დავიწყებთ.

ახლა კი თურქეთის გზებსა და ბაზრებზე იყიდება საქართველო, იყიდება ყველაფრიანად. იყიდება ღირსება — ეს ფასდაუდებელი საქონელი, იყიდება ჩალის ფასად. არას დაეძებ, ოღონდ შემოსო, ჭამი შეიძინო, იყიდო და გაყიდო, მოგება ნახო, სხვამ არ გაჯობოს...

...როგორც იქნა მშვიდობიანად გადავკვეთეთ თურქეთ-სირიის საბაჟო. ისევ გვიშველა ავტობუსზე გაკრულმა აზრამ „პრესა-ტელევიზია“. პატივი გვცეს ჟურნალისტებს, ბარგი ავტობუსიდან არ ჩამოგვაღებინეს. ეს ჩვენ? მაგრამ აგერ უკვე ბარგით დატვირთული ორი ავტობუსი რომ მოგვყვება, მას რატომ აქვს გაკრული აზრა „პრესა-ტელევიზია“?! იმ ავტობუსში ხომ ერთი ჟურნალისტიც არ ზის?

ესეც მორიგი სიურპრიზი. ჟურნალისტთა ეგიდით გადიან საზღვარგარეთ ავტობუსები!

იქნებ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირიდან ჰქონდათ ამის ნებართვა? ან იქნებ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი პროფკავშირებიდან?

ამის უფლება მათ არ ჰქონდათ.

არავის არა აქვს უფლება ჟურნალისტთა სახელით ისპეკულანტოს და უცხოეთის გზებზე სავაჭროდ გასულ ავტობუსებს პრესის იარლიყი მიაკეროს!

ეს უპირველესად ჟურნალისტთა შეურაცხყოფაა და მას ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა კავშირმა სათანადო შეფასება უნდა მისცეს.

რა ვნახე სირიაში? დამასკოს ხილვა ოცნებად დარჩა. თურმე ნუ იტყვით, ჩვენ საბუთებს არც კონსულის ბეჭედი ერტყა, სირიიდან უკან რომ დაგვაბრუნებდა. ოთხი დღე ვიყურყუტეთ, ველოდით ბეჭდიან ქაღალდს. რა უნდა მეკეთებინა ალეპოში? მძღოლებიც ისეთი დაექირავებინა ფირმას, სულაც არ აინტერესებდათ დამასკოს ხილვა. მათ ეს უბრალო გასეირნებად მიაჩნდათ, რომელიც ბენზინსა და დროს წაართმევდა. თუმცა ესეც შევაძლიეთ, მაგრამ ამაოდ.

მაინც ვიხეტიალე იმ ციტადელში, სადაც შუა საუკუნეები და თანამედროვე ცივილიზაცია ერთმანეთს ერწყმის. ვიწროქუჩებიან ციხე-ქალაქში მერსედესისა და სახედარზე შემომჯდარი მემწვანილეს სიჩქარე თანატოლია.

მოდი და გაუსწარი?!

„ტურისტული მოგზაურობიდან“ დაბრუნებულს ახლა უფრო ხშირად მესმის ტელევიზიით, რადიოთი, ვკითხულობ პრესით რომ ეს და ეს ფირმა გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას „კომფორტული ავტობუსებით თურქეთსა და სირიაში...“ იქნებ სიტყვა ტურისტული ამოგვეღო და მის ნაცვლად სავაჭრო ჩაგვესვა? ასე ხომ არ აჯობებდა?!

კრიმინალური ქრონიკა

● **ქარელის** რაიონის სოფელ ურბნისში მცხოვრები ვლადიმერ კაკაშვილის სახლის ეზოდან 4 დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა მოიპარა სოფლის მეურნეობის კუთვნილი „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი.

● **ხაშურის** რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს საინა გოგაშვილი, რომელმაც სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად გახსნა სატვირთო მატარებლის ვაგონი და მოიპარა 40 ტომარა შაქრის ფხვნილი. ს. გოგაშვილს ჩამოერთვა 37 ტომარა შაქრის ფხვნილი. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლებმა სადგურის ტერიტორიაზე ნახეს წასაღებად გადამალული 11 ტომარა შაქრის ფხვნილი.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა გიორგი გიორგის ძე ქვალიაშვილი დანიშნა ქვემო ქართლში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებულად.

განმარტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში **„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი“**..., დაშვებულია უზუსტობა: სტატიაში მოყვანილი სტროფი ლექსისა, რომლის ავტორია ემიგრანტი პოეტი სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი, არ არის ამოკვეთილი ნოე ჟორდანიას საფლავის ქვაზე, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

რეკლამა ● განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის
განათლების სამინისტრო

თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა დამატებით მიღებას დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე 1992-93 სასწავლო წლისთვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

ეკონომიკური განყოფილება
1. ეკონომიკა და მართვა სახალხო მეურნეობის დარგებში (9 და 11 კლ. ბაზა);
2. საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი (9 და 11 კლ. ბაზა);
3. კომერციული საქმიანობის ორგანიზაცია;
4. საბირჟო საქმე.

იურიდიული განყოფილება
1. სამართალმცოდნეობა;
2. სამართალი და სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაცია;
3. საქმისწარმოება და არქივმცოდნეობა (9 კლ. ბაზა).

სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 1 სექტემბრამდე 10 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირა დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს:
ა) განათლების დოკუმენტის დედანი;
ბ) სამედიცინო ცნობა (086 უ);
გ) ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3×4).

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

მისაღები გამოცდები გაიმართება 2 სექტემბრიდან.

მისაღებ გამოცდებს ბარდება ეკონომიკური განყოფილების სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

იურიდიული განყოფილების სპეციალობებზე: საქართველოს ისტორიაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

არასრული საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სწავლება სახელმწიფოს ხარჯზეა, სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 500 მანეთის ოდენობით.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ მიმღებ კომისიაში.

კოლეჯის მისამართია: თბილისი, 380072. მუხიანის დასახლება, II მიკრორაიონი, 32-ე კორპუსი. ტელეფონი: 62-04-21, მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი“.

მიმღები კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის
ფინანსთა სამინისტროს

თბილისის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი

განაგრძობს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
1. ფინანსები, სპეციალიზაცია — საგადასახადო სამსახურის მენეჯერი, საბიუჯეტო აღრიცხვა (დღის და დაუსწრებელი სწავლება) საწარმოთა ფინანსები, საბაჟო საქმე (დღის სწავლება);
2. სადაზღვევო საქმის მენეჯერი (დღის და დაუსწრებელი სწავლება);
3. საბანკო საქმის მენეჯერი (დღის და დაუსწრებელი სწავლება);
4. საბუღალტრო აღრიცხვა (დღის და დაუსწრებელი სწავლება).

კოლეჯში სწავლა უფასოა. სტუდენტები მიიღებენ 800-850 მანეთს სტიპენდიას. რაიონებიდან ჩამოსულები კი (გოგონები) უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე, ყოველდღე 10-დან 15 საათამდე, კვირის გარდა, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქუჩა, № 19, ტელეფონი: 38-55-69, 38-80-55.

INSURANCE COMPANY "ALDAGI"

ალდაგი
ALDAGI

მოქალაქეთა და სამედიცინო დაწესებულებების საყურადღებოდ!

დღეს, წამლების ტოტალური დეფიციტის პირობებში, „ალდაგი - ინტერფარმი“ გთავაზობთ მომსახურების სრულიად ახალ ფორმას - მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან შეკვეთილი მედიკამენტების ჩამოტანას სულ რამდენიმე დღეში.

დეფიციტური წამლების გარდა, თქვენ შეგიძლიათ შეგვიკვეთოთ: ვაქცინები, ასაცრელი, სადიაგნოსტიკო და ჰომეოპატიური საშუალებები, პარამედიცინური პროდუქტები, ჰიგიენის საგნები, სამედიცინო ტექნიკური მასალები და მოწყობილობები.

წამლების და სხვა შეკვეთილი პროდუქციის შეძენა შეგიძლიათ როგორც მყარ ვალუტაზე, ასევე მანეთებზე შესაბამისი კურსის გათვალისწინებით.

ანგარიშსწორება შესაძლებელია გადარიცხვით.

შეკვეთები მიიღება სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ცენტრალურ ოფისში, ყოველდღე (კვირის გარდა) 14-დან 17-საათამდე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 62 (შესასვლელი ბერძენიშვილის ქუჩიდან).

ტელეფონები: 29-49-06, 29-49-07.

როგორც ყოველთვის „ალდაგი“ თქვენზე ზრუნავს ბატონებო!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სერგი პავლეს ძე ნარიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, [illegible], თბილისი, [illegible] № 14.
ტელეფონები: [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ინდექსი 66484